კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

მარიამ წიქარიშვილი

საქართველოს გადახდისუუნარობის სამართლის რეფორმის მნიშვნელოვანი ასპექტები

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: როინ მიგრიაული

სამართლის დოქტორი,

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

სამართლის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

თბილისი

2019

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვადასტურებ, რომ წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ინტელექტუალურ საკუთრებას, არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად შემუშავებულ ან ხარისხის დასაცავად წარდგენილ ნაშრომებს, იმგვარად რომ არ იყოს მითითებული ანდა ციტირებული, სათანადო წესების დაცვით.

მარიამ წიქარიშვილი.....2019 წელი

ანოტაცია

ნაშრომში შესწავლილია საქართველოს გადახდისუუნარობის რეფორმის მნიშვნელოვანი ასპექტები და გამოწვევები. შესწავლილია 1996-2007 წლის გადახდისუუნარობის კანონში განხორციელებული ცვლილებების ასპექტები, ასევე თუ რა ფორმით ჰპოვა მან ასახვა ახალი რეფორმის ფარგლებში. ნაშრომში შედარებითი ანალიზის სახით განხილულია კრედიტორებისა და მოვალის საკითხი, ასევე კრედიტორთა კრების დაკომპლექტების და შემადგენლობის შესახებ, თუ როგორ იყო წარმოდგენილი 1996-2007 წლების კანონში და რა ცვლილებები შედის ახალი რეფორმის თანახმად. ნაშრომი ასევე განიხილავს, ფიზიკური პირების ვალაუვალობის საკითხს, აღნიშნულთან დაკავშირებით 1996 წლის კანონის მიხედვით ფიზიკური პირები ითვლებოდნენ გადახდისუნარიან პირებად, რომლებზედაც კანონის მოქმედება ვრცელდებოდა, ხოლო 2007 წლის კანონის თანახმად, აღნიშნულის ცვლილება განხორციელდა, სადაც ფიზიკურ პირებზე აღარ ვრცელდება კანონის მოქმედება, და გადატანილია იგი ინდმეწარმეებზე. ახალი რეფორმის მიხედვით, ფიზიკურ პირებზე კანონის მოქმედება გავრცელდება, მხოლოდ კანონის მე-2 თავში, რაც ვფიქრობ მნიშნველოვან და საყურადღებო საკითხს წარმოადგენს. ასევე განხილულია გადახდისუუნარობის კანონში გაკოტრების და რეაბილიტაციის მმართველის, კრედიტორთა კრების, არჩევასთან დააკავშირებული საკითხები და სხვა. ნაშრომი წარმოადგენს აქტუალურ საკითხს, რადგან გადახდისუუნარობის კანონი და შესაბამისად რეფორმა, ქართული ეკონომიკისა და ბიზნესისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, რომლის დახვეწა არსებითად გააუმჯობესებს არსებულ სიტუაციას.

Annotation

The work has studied important aspects and challenges of Georgia's reform of insolvency. Changes made in 1996-2007 law of insolvency, as well as the new form is found itself within the frames of new reform.Work reviews the issue of creditors and debtors in a comparative analytic matter, also the compartmentalization and composition of creditors' congregation, specifically how was it shown in the law between 1996 and 2007 and what kind of changes are included based on a new reform. It also reviews issue of physical person's insolvency, speaking of which, based on 1996 year's law physical person was accounted for someone who was able to pay, on which the law was enforced, but based on 2007's law, the change that was spoken above was made, in which the law wasn't enforced over the physical persons but over the individual entrepreneurs. Based on a new reform the law will be enforced over the physical persons only according to the content of the second chapter's clause of the law, which we believe represents important and notable issue. The work also reviews creditors' agreement about bankruptcy and rehabilitation in the insolvency law, It's rules etc. the work represents relevant issue, because insolvency law and therefore the reform are important challenges for Georgian economy and business, development of which will essentially improve the situation.

სარჩევი

შესავალი 5

თავი პირველი: ვალაუვალობის სამართლის ცნება და ისტოიული განვითარება..... 9

1.1. ვალაუვალობის სამართლის ცნება და ფუნქციები..... 9

1.2. ვალაუვალობის სამართლის განვითარების ისტორიული ასპექტები..... 15

თავი მეორე: ვალაუვალობის სამართლის რეფორმის სიახლეები..... 34

2.1. ვალაუვალობის რეფორმის არსი..... 34

2.2. ფიზიკური პირი, როგორც ვალაუვალობის საქმის წარმოების სუბიექტი..... 43

2.3. გაკოტრების მმართველის არჩევის წესი..... 45

2.4. კრედიტორთა კრება..... 48

2.5.რეგულირებული შეთანხმების ინსტიტუტი..... 50

2.6. რეაბილიტაციის რეჟიმის დაწყება..... 52

დასკვნა:..... 58

ბიბლიოგრაფია:..... 60

შესავალი

გადახდისუუნარობას ღრმა ისტორიულ-სამართლებრივი ფესვები აქვს, რომლის შესწავლა და სათანადოდ გადმოცემა, დაგვეხმარება იმ პრობლემატიკის არსობრივ წვდომაში, რაც წარმოადგენს აღნიშნულ თემას. თემის აქტუალურობა ყოველმხრივ მნიშვნელოვანია, სამეწარმეო სამქიანობის, და სხვა ტიპის ორგანიზაციული ფორმების განვითარების კუთხით, როგორც მსოფლიოში ისე საქართველოში. დღეს მოცემული ტერმინი „გადახდისუუნარობა“ შედარებით პოზიტიური შინაარსის მატარებელია, თავისი წინამორბედი ტერმინებისგან განსხვავებით, როგორიც იყო, თუნდაც, გაკოტრება, რაც ადამიანებში მხოლოდ ნეგატიურ ემოციების გამომწვევ ტერმინად იყო წარმოდგენილი. ადამიანები ამ ტერმინს თითქმის ყველაფრის დასასრულად და განადგურებად მიიჩნევდნენ, რაც, ცხადია, დამანგრეველი ზემოქმედებით მოქმედებდა, როგორც საკუთრივ პიროვნებაზე, ასევე კომპანიასა და ზოგადად ეკონომიკურ განვითარებაზე. მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში ინფორმაციის გადაცემა ერთი პუნქტიდან მეორეში დროის უმოკლეს პერიოდში ხორციელდება, ხოლო, ისეთი დამანგრეველი სტრუქტურის და შინაარსის მატარებელი სიტყვა და მისი პრაქტიკაში გამოყენება, როგორიც არის „გაკოტრება“, როგორც მსოფლიო ბაზრებზე, ისე ქვეყნის შიდა ბაზრებზე ბუნებრივად გამოიწვევდა არასტაბილურობას ეკონომიკაში, რაც დაკავშირებულია ჯაჭვურობის პრინციპით საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებსა და დარგებთან. აქედან გამომდინარე, ჩვენ უნდა დავასკვნათ, რომ აღნიშნული ტერმინის მეტად ჰუმანიზაციამ და შერბილებამ, შეიძლება ითქვას, რომ პოზიტიური შედეგები გამოიღო საერთო კეთილდღეობის შექმნაში და გამოვლინდა ხელისშემშლელ ფაქტორად, გადახდისუუნარობით (გაკოტრებით) გამოწვეული რყევების შემაკავებლად, რაც მიმართულია მდგრადი საზოგადოების, ეკონომიკური სტაბილურობის ხელშეწყობის მიზნით.

ნაშრომში მიმოვიხილავთ და შევეცდებით ამომწურავად გადმოვცეთ არსებული გადახდისუუნარობის რეფორმის სამართლებრივი ასპექტები, გავაანალიზოთ თუ რა ცვლილებები განხორციელდა და რის გამო იყო განპირობებული აღნიშნული ცვლილება, ასევე კვლევის დროს შევეცდებით, ვისაუბროთ როგორც მოქმედ სამართლებრრივ ჩარჩოზე ასევე, არსებულ რეფორმაზე. ვფიქრობთ თემის აქტუალობა მნიშვნელოვანია და სამოქალაქო სამართლის მიმართულების განვითარების მიზნით წინ გადადგმული ნაბიჯია.

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანია დადგინდეს, რა მნიშვნელოვან ასპექტებს და სიახლეებს მოიცავს საქართველოს გადახდისუუნარობის სამართლის ახალი რეფორმა.

კვლევის ამოცანა:

- დადგინდეს, რა არსებითი საიხლეებია დანერგილი არსებული რეფორმის მიხედვით.
- დადგინდეს, შეიცავს თუ არა ნოვაციას ახალი რეფორმა გადახდისუუნარობის სამართალში.

საკვლევი კითხვა: როგორ წესრიგდება გადახდისუუნარობის სამართლებრივი მხარე საქართველოში, საქართველოს გადახდისუუნარობის სამართლებრივი რეფორმის მიხედვით.

საკვლევი ჰიპოტეზა: საქართველოს გადახდისუუნარობის სამართლის რეფორმა აწესებს მნიშვნელოვან ასპექტებს, კრედიტორების კოლექტიური მოთხოვნის დაკმაყოფილებაში, განსაზღვრავს ფიზიკური პირის საკითხს, რეგულირებული შეთანხმების, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის, და სხვა მნიშვნელოვან საკანონმდებლო ასპექტებს.

კვლევის მეთოდი:

თემის დამუშავების დროს გამოყენებული სავარაუდო მეთოდოლოგია არსებული თეორიული მასალის განხილვა, ანალიზი და დასკვნების გამოტანა;

- კვლევისას გამოყენებული იქნება თვისობრივი კვლევის მეთოდები;
- შედარებითი კვლევის მეთოდები;
- მონაცემთა ანალიზი;
- აღწერილობითი კვლევის მეთოდი;

სამაგისტრო ნაშრომის გეგმა:

შინაარსი

შესავალი

ანოტაცია

თავი პირველი: ვალაუვალობის სამართლის ცნება და ისტორიული განვითარება

1.1. ვალაუვალობის სამართლის ცნება და ფუნქციები.

1.2. ვალაუვალობის სამართლის განვითარების ისტორიული ასპექტები.

თავი მეორე: ვალაუვალობის სამართლის რეფორმის სიახლეები.

2.1 ვალაუვალობის რეფორმის არსი.

2.2 ფიზიკური პირი, როგორც ვალაუვალობის საქმის წარმოების სუბიექტი.

2.3 გაკოტრების მმართველის არჩევის წესი.

2.4 კრედიტორთა კრება.

2.5 რეგულირებული შეთანხმების ინსტიტუტი.

2.6 რეაბილიტაციის რეჟიმის დაწყება.

დასკვნა

ბიბლიოგრაფია.

თავი პირველი: ვალაუვალობის სამართლის ცნება და ისტორიული განვითარება

1.1. ვალაუვალობის სამართლის ცნება და ფუნქციები

ვალაუვალობის ცნება:

პროფესორი მიგრიაული, ვალაუვალობის ცნებას შემდეგნაირად გამოსცემს თავის წიგნში: „გაკოტრების სამართლი ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა სამოქალაქო სამართლში, რომლის საფუძვლიანი შესწავლა მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენდა დარგის განვითარების თვალსაზრისით. გაკოტრების შინაარსი ლათინური "კონკურსიდან" მოდის, რაც პირთა თავმოყრას (ლათ.concursus) ნიშნავს. აღნიშნული ტერმინში იგულისხმება კრედიტორების თავმოყრას ერთი საერთო მოვალის წინააღმდეგ. ქართულ სიტყვიერებაში დამკვიდრებულ სიტყვაში "გაკოტრება" განმსაზღვრელია ძველქართული ძირი "კოტრი", რომელიც მინიშნებას პიროვნებაზე ახდენს და ასეთად "ვალის გადახდის უნარდაკარგული" მოიხსენიება.[1] ანუ, გაკოტრებულად იწოდებოდა პირი, რომელიც დაკარგავდა მთელ ქონებას. დღეს აღნიშნულ ტერმინს შეესაბამება შედარებით უფრო თანამედროვე ტერმინები:

- გადახდისუუნარობა;
- ვალაუვალობა.

თუმცა, ვფიქრობ რომ ვალაუვალობა უფრო შესატყვისი ტერმინია, ვიდრე გადახდისუუნარობა. უმჯობესი იქნებოდა, რომ კანონპროექტის სახელწოდებაც შემდეგნაირი ყოფილიყო: „საქართველოს კანონი ვალაუვალობის წარმოების შესახებ“, თუმცა საკანონმდებლო აქტის სახელწოდება არ შეცვლილა და კვლავ დარჩა „საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის შესახებ.“

[1] რ. მიგრიაული, შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2017წ, გვ:24

სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული შინაარსობრივი დატვირთვა აქვს გაკოტრებას, როგორც სამართლის ინსტიტუტს. არის ქვეყნები, სადაც გაკოტრება მოვალის ეკონომიკურ განადგურებაზე და მისი ღირებულებების ანულირებაზეა ორიენტირებული, ზოგგან კი - გაგაკოტრების შინაარსში გამოხატულია მოვალის სამართლებრივი არსებობის შენარჩუნების, განსაკუთრებით მისი ეკონომიკური ერთეულების - საწარმოების გადარჩენისა და გაჯანსაღების სურვილი. ტერმინი "გაკოტრება" მოვალეს და მასთან დაკავშირებით წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებსაც წარმოადგენს. ცნების შინაარსი, ასახვას პოვებს გაკოტრების სამართლის მიზნებში, უმრავლეს ქვეყანაში გაკოტრების სამართალი ცდილობს დააკმაყოფილოს კრედიტორების მოთხოვნები. ასევე უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ ქვეყანაში უპირატესობა მინიჭებული აქვს ვალაუვალ მოვალეს, რაც გულისხმობს, სხვადასხვა ღონისძიებების მეშვეობით, საწარმოთა გადარჩენას. აქვე შეგვიძლია ვისაუბროთ ისეთ პირობებზე, როდესაც მოვალისა და კრედიტორის ინტერესთა დაცვას ენიჭება თანაბარი მნიშვნელობა და არცერთი მათგანი არ წარმოადგენენ მეორეზე პრიორიტეტს. გაკოტრების ქართულმა სამართალმა, მოვალისა და მისი საწარმოების გადარჩენის პრიორიტეტი უფრო პრიორიტეტულად აქცია, ვიდრე კრედიტორთა ინტერესები. იგი გულისხმობდა მოვალის გადარჩენაში, მისი როგორც სამართლის სუბიექტის არსებობის (ლათ.existenz) გადარჩენას. [2] საწარმოებთან დაკავშირებით გაკოტრების ქართული სამართალი, მათი, როგორც ეკონომიკური ერთეულების ეკონომიკური არსებობის გადარჩენას მოიაზრებდა. იგი გაჯანსაღებას უპირატესობას ანიჭებდა, ვიდრე ლიკვიდაციას. უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ კანონში სიტყვა გაკოტრება იწვევდა დამანგრეველი მნიშვნელობის ემოციებს, რაც ფსიქო-სოციალური ასპექტების გათვალისწინებით, მეტად სერიოზული ზიანის მომტანი იყო საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, ტერმინის ცვლილება, უნდა შევაფასოთ როგორც პოზიტიური ნაბიჯი აღნიშნული მიმართულებით. ქართულ სამართალში ვალაუვალობა თავისი შინაარსით არის

[2] მიგრიაული.რ, შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2017წ, გვ:28.

საინტერესო და საგულისხმო, იგი გამორჩეულია იმით, რომ მასში თანადროულადაა ინტეგრირებული ლიკვიდაციისა და რეაბილიტაციის ნორმები. მათი ერთობლიობა ერთიან თანამედროვე სამართალს ქმნის, რომელსაც „უცხოეთის ქვეყნებში "ინზოლვენცის სამართალს" უწოდებენ. ინზოლვენცის სამართლის საფუძვლად გამოყენებულია ტერმინი "ინზოლვენცი" (ლათ.insolvenz), რაც ვიწრო გაგებით „გადახდისუუნარობას“ ნიშნავს. "ინზოლვენცს" შეესატყვისება ქართული ტერმინი "ვალაუვალობა", რომელიც თავისი ვიწრო მნიშვნელობით ასევე გადახდისუუნარობას, ანუ "ვალის აუვალობას" უკავშირდება.“[3]

მოცემული ცნებიდა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გაკოტრების ქართული სამრთალი აწესრიგებს და ეხმარება, ფინანსური მდგომარეობის დაძლევაში, გაჯანსაღებაში და გამოცოცხლებაში, ეკონომიკურად ცუდ სიტუაციაში აღმოჩენილ საწარმოებს, ასევე ეხმარება კრედიტორებს მათი მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილებაში, რაც გამოიხატება მოვალის ქონების რეაბილიტაციით ან ლიკვიდაციით.

შედარებით განსხვავებული მდგომარეობა არის 2007 წელს მიღებულ კანონში სადაც, ძირითად ორიენტირად აღებულია არა ზოგადად კრედიტორების ინტერესების დაცვა, არამედ მიზანმიმართულად უზრუნველყოფილი კრედიტორების ინტერესების განხორციელება. საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქამის წარმოების შესახებ პირველივე მუხლში ვკითხულობთ, ამ კანონის მიზნის შესახებ „კანონის მიზანია მოვალისა და კრედიტორის (კრედიტორების) ინტერესების თანაზომიერი დაცვა, შესაძლებლობის შემთხვევაში მოვალის ფინანსური სიძნელეების გადაჭრა და კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება ან ამის შეუძლებლობის შემთხვევაში მოვალის

[3] რ. მიგრიაული, „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“, გამომცემლობა „ბონა კაუზა“,თბილისი, 2017წ, გვ:28

ქონების რეალიზაციით მიღებული თანხების განაწილებით კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება“[4]

ვალაუვალობის სამართლის ფუნქციები:

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გადახდისუუნარობის სამართალს ზოგადი და სფეციფიკური ფუნქციები აკისრია, რომელთა მნიშვნელობაც ასევე თანაბრად მნიშვნელოვანია აღნიშნული საკითხის არსობრივ გააზრებაში. იმისათვის, რომ დავახასიათოთ გაკოტრების სამართლის ზოგადი ფუნქციები, საჭიროა იმის გარკვევა, თუ რა როლი აკისრია არსებული სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებაში. სამართლწესრიგის უზრუნველყოფის საფუძველს საზოგადოებაში წარმოადგენს მატერიალური კერძო სამართალი. კერძო-სამართლებრივი ურთიერთობები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სახელმწიფოს ფუნქციონირებაში, მის გარეშე უმართავი ხდება საზოგადოება და ამის შედეგად სახელმწიფო იძულებულია, იძულების წესით არეგულიროს აღნიშნული ურთიერთობები. ქვეყანაში შეიძლება ჩამოყალიბდეს კერძო სამართლის თანმიმდევრული სისტემა, მაგრამ იგი გამოუსადეგარი, აღმოჩნდეს, თუკი სათანადოდ არ იქნება უზრუნველყოფილი მისი განხორციელება. სამართალწესრიგის ხარისხის დონე განსაზღვრავს თუ როგორ ხორციელდება, მატერიალური კერძო სამართალი. ყოველი პირი, რომელიც არის კერძო-სამართლებრივი უფლებებით აღჭურვილი, მის რეალიზაციას თვითონვე ცდილობს, (გერმ.rechtsdurhsetzung) მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ შეუძლებელია მხოლოდ საკუთარი უფლების ინდივიდუალური განხორციელებით, კერძო-სამართლებრივი უფლების რეალიზაცია, თუკი იგი სახელმწიფოებრივი იძულებითაც არ იქნა უზრუნველყოფილი. ამას ემსახურება

[4] „საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქამის წარმოების შესახებ“, მუხლი:1, matsne.gov.ge

სწორედ სახელმწიფოს ხელთ არსებული სამართლებრივი ბერკეტი, მართლმსაჯულება. სამართლის დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბდა სააღსრულებლო სამართალი, რომელიც უზრუნველყოფს უფლებების განხორციელებას. აღსრულების სამართალი წარმოადგენს იმ ნორმების ერთობლიობას, რომლებიც აწესრიგებენ უფლებამოსილი პირის სასარგებლოდ მოვალის ქონების აღსასრულებლად მიქცევის საკითხებს.[5] თავის მხრივ, მოქნილი და ეფექტური უნდა იყოს აღსრულების სამართალი. სხვა მხრივ, რთული იქნებოდა საუბარი ამა თუ იმ მატერიალურ-სამართლებრივი უფლების განხორციელებაზე. ქვეყანაში არსებული სამართალწესრიგის დაბალანსება არის სააღსრულებო სამართლის ერთ-ერთი ფუნქცია. ცალკეული პირების უფლებების განხორციელებით არ უნდა იყოს შემოსაზღვრული აღსრულების სამართალი, იგი გაცილებით უფრო ეფექტური და სრულყოფილია, როდესაც ერთდროულად მოწოდებულია რამდენიმე პირის უფლების განსახორციელებლად. გარკვეული ხნის განმავლობაში შეიძლება ითქვას, რომ ქართული აღსრულებითი სამართალი არ იყო თავისი მოწოდების სიმაღლეზე და ის მხოლოდ კრედიტორების უფლებების განხორციელებით იყო დაკავებული, რაც საკითხის საკმაოდ ვიწრო და მიკერძოებული ხედვიდან არის ნაკარნახევი. 1996 წლამდე აღსრულების სამართალი წარმოადგენდა სამართლის დამოუკიდებელ დარგს და ამის მიუხედავად, ის ორიენტირებული იყო ცალკეული კრედიტორების უფლებათა განხორციელებაზე. კრედიტორთა უფლებებისადმი მიკერძოებული მიმხრობა და მათი ინტერესების დაცვა, ნაკარნახევი იყო, იმ დროინდელი პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციით, ქვეყანა გარდამავალ პირობებში იმყოფებოდა, პოსტსაბჭოთა ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე, რაც გარკვეულ რყევებს და არასტაბილურობას იწვევდა, ეს ასევე დამოკიდებული იყო სახელმწიფო ინსტიტუტების სისუსტით და პოლიტიკური ელიტის დაინტერესებით კერძო ფინანსურ ასპექტში. 1996 წელს გაკოტრების სამართლის შემოღებით კი, ქართული

[5]რ. მიგრიაული, „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“ გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2017წ, გვ:31

სააღსრულებლო სამართალწარმოება გახდა მეტად სრულყოფილი, რაც გულისხმობდა კოლექტიური აღსრულების ელემენტთა შემოსვლას. გაკოტრების სამართალი რამდენიმე სამართალსუბიექტის უფლებების ერთდროულად განხორციელებას უზრუნველყოფს.[6]

ვალაუვალობის სამართლის სპეციალური ფუნქციები:

როგორც ცნობილია, ვალაუვალობის სამართალს დაკისრებული აქვს სხვადასხვა ფუნქცია, რომელთაგან მნიშვნელოვანია გამოვყოთ კრედიტორთა ერთობლივი და თანაზომიერი დაკმაყოფილების ფუნქცია, ასევე მნიშვნელოვანია ისეთი ფუნქციის წინა პლანზე წამოწევა, როგორიც არის მოვალის გადარჩნისათვის ზრუნვა, რაც გულისხმობს მისი საწარმოს დაცვას გაკოტრებისგან.ვალაუვალობის წარმოების პროცესი გულისხმობს, როგორც კერძო ისე საჯარო-სამართლებრივ კრედიტორებს. ყველა სახის კერძო სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოიშობა კერძო სამართლებრივი კრედიტორების მოთხოვნები, ხოლო საჯარო-სამართლებრივი კრედიტორისა - საგადასახადო-სამართლებრივი და საბიუჯეტო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან. კერძო კრედიტორები ყოველთვის აღემატებიან რაოდენობრივად საჯარო კრედიტორთა რიცხვს, აქვე უნდა ითქვას რომ გაკოტრების სამართლის ფუნქცია, უპირატესად, კერძო კრედიტორთა ინტერესების განხორციელებაში გამოიხატება. “ვალაუვალობის სამართლის წარმოდგენილი ფუნქცია გამოხატულებას პოულობს კრედიტორთა "ერთობლივი და თანაბარზომიერი" დაკმაყოფილების პრინციპში (ლათ. par conditio creditorum). ამ პრინციპის საფუძველზე, ყველა კრედიტორი, განურჩევლად მათი მოთხოვნის წარმოშობის საფუძვლისა, თანაბრად განიხილება და არც ერთ მათგანს არ მიენიჭება

[6]რ. მიგრიაული,“ შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“,გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2017წ, გვ:32

უპირატესობა ან პრივილეგია თავისი უფლების განხორციელებაში.“[7] მოვალეთა გადარჩენა ვალაუვალობის სამართლის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს.

1.2. ვალაუვალობის სამართლის განვითარებისის იტორიული ასპექტები

იმისათვის, რომ გადახდისუუნარობის სამართლის პრინციპებს ჩავწვდეთ და შევძლოთ მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების წარმოჩინება, ასევე შედარება მიმდინარე რეფორმასთან, აუცილებელია ჯერ გავერკვეთ მის წარმოშობაში, თუ საიდან იწყება გაკოტრების სამართლის ათვლის წერტილი და რა საფეხურები განვლო მან ზოგადად მსოფლიოში და საქართველოში დღემდე. შევეცდებით შედარებით მოკლედ გადმოვცეთ გაკოტრების სამართლის დროში განვითარების უწყვეტობა. ამისათვის უპირველეს ყოვლისა უნდა განვიხილოთ, თუ როგორ ხდებოდა და როგორ წესრიგდებოდა აღნიშნული მიმართულება.

გაკოტრება რომის სამართალში:

„გაკოტრების შინაარსს საფუძვლად ლათინური "კონკურსი" უდევს, რაც პირთა თავმოყრას (ლათ. concursus) ნიშნავს. სწორედ ამით ხასიათდებოდა რომის სამართალში რამდენიმე კრედიტორთა თავმოყრა მათი საერთო მოვალის წინააღმდეგ.[8]

ერთმანეთისაგან განსხვავებდა რომის კლასიკური სამართალი ერთი მხრივ, ცალკეული კრედიტორის იძულებით აღსრულებას მისი მოვალის წინააღმდეგ, ასევე მრავალი კრედიტორის იძულებით აღსრულებას მათი საერთო მოვალის წინააღმდეგ. აღსრულების იგივე წესი გამოიყენებოდა კრედიტორთა

[7] რ. მიგრიაული,“ შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2017წ, გვ:33
[8] იქვე, გვ:266

ერთობლიობისთვისაც, რაც ცალკეული კრედიტორისათვის იყო დამახასიათებელი.[9] ეს დასტურია იმისა, რომ ერთმანეთს არის დამთხვეული და სინქრონიზებული გაკოტრების სამართლისა და სააღსრულებლო სამართლის განვითარება. უნდა ითქვას, რომ რომის სამართალში უნდა მოხდეს მისი ისტორიული ძირების ძიება. თავდაპირველად სააღსრულებო სამართალს ჩეყარა საფუძველი, რამაც საფუძველი ჩაუყარა გაკოტრების სამართლის განვითარებასაც.

განვითარების ეტაპები:

ორი სხვადასხვა თანმიმდევრული ეტაპი გამოიყოფა გაკოტრების სამართლის განვითარებაში. პიროვნების ეგზეკუციით ხასიათდება პირველი ეტაპი, აღსრულების ობიექტს მოვალის პიროვნება წარმოადგენდა, კერძოდ, მისი ღირსება, თავისუფლება, სხეული და თვით სიცოცხლეც კი. იშვიათად მოიხსენიებოდა მოვალის ქონება, როგორც აღსრულების ობიექტი. ადამიანის პიროვნული ღირსებები უნდა მიქცეულიყო კრედიტორთა სასარგებლოდ. „XII ტაბულის კანონით (ჩვ.წ.აღ.451 წ.) კრედიტორს უფლება ჰქონდა, მოვალე ცემით მოეკლა ან იგი მონად გაეყიდა. პიროვნების ეგზეკუცია საკმაოდ მკაცრი ღონისძიება იყო მოვალისთვის. [10] "ძირითადი მოქმედი პირი კრედიტორი იყო, პიროვნების ეგზეკუციის პერიოდში, მაგისტრატს მასზე ჯერ კიდევ არ შეეძლო რაიმე ზეგავლენა მოეხდინა. მის კერძო საქმედ განიხილებოდა მოვალის მიმართ კრედიტორის სააღსრულებლო ქმედება. სახელმწიფო თანდათანობით ითავსებდა მოვალის პიროვნების დაცვის ფუნქციებს და მაგისტრატის ხელისუფლების ზრდასთან ერთად ხდებოდა აღნიშნული უფლებამოსილებათა აღმასვლა. ეტაპობრივად ხდებოდა, როდესაც დაიწყო კანონმდებლობის საფუძველზე იმ ნორმათა გამყარება, რაც ზღუდავდა მოვალის მოკვლისა და მონად გაყიდვის უფლებას (ჩვ.წ.აღ.351 წ.).

---

[9] ჰ.შნიტგერი,რ. მიგრიაული,"გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი, დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან",გამომცემლობა „სიესტა",თბილისი, 2011წ, გვ:13

[10] რ.მიგრიაული," შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში",გამომცემლობა „ბონა კაუზა", თბილისი, 2017 წელი, გვ:267

ამისდა მიუხედავად, კრედიტორს მაინც მიუწვდებოდა ხელი მოვალის პიროვნების სხვა ღირებულებებზე. მეორე ეტაპს გაკოტრების სამართლში წარმოადგენდა მოვალის ქონების ეგზეკუცია, რა დროსაც, მოხდა მოვალის ქონების ჩართვა აღსრულების ობიექტებში. დადგინდა კვლევებით, მოვალის პიროვნება, როგორც აღსრულების ობიექტი, გამოცალკევდა მისი ქონებისაგან. თუმცა არც თუ ისე სრულყოფილად ხორციელდებოდა საწყის ეტაპზე ქონების ეგზეკუცია. კრედიტორი მხოლოდ ქონებაზე არ ახდენდა აღსრულებას, არამედ მას შეეძლო, კვლაც "შეხებოდა" მოვალის პიროვნებას.არჩევანის შესაძლებლობა მოიპოვა, ქონების ეგზეკუციის შემოღებით კრედიტორმა, ანუ მას უკვე შეეძლო, თავად ამოერჩია, რომელ ღირებულებებზე მოეხდინა აღსრულება:

- პიროვნებაზე, თუ;
- ქონებაზე.

Mission in bona:

სასამართლოს მითითებით იყო შესაძლებელი მოვალის ქონებაზე უშუალო აღსრულება სასამართლოს მეშვეობით კრედიტორს ეძლეოდა შესაძლებლობა, აღსრულება მოეხდინა მოვალის ქონების არა ცალკეულ საგნებზე, არამედ - მთელ ქონებაზე. ცალკეულ კრედიტორსშეეძლო ეშუამდგომლა აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე. როგორც წესი, განმცხადებელ კრედიტორს, შეიძლება შეერთებოდნენ სასამართლო მითითების გამოქვეყნების შემდეგ სხვა კრედიტორებიც. ერთზე მეტი კრედიტორის არსებობის შემთხვევაში აღსრულება "კონკურსად" გადაიქცეოდა (konkurs, ანუ დღევანდელი შინაარსით, "გაკოტრება").[11]

[11]რ.მიგრიაული, „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2017წ, გვ:268

Cession bonorum:

გადაუხდელობის შემთხვევაში ითვლებოდა ბანკროტად. (ჩვ.წ.აღ.17 წ.), მოვალე იღებს შესაძლებლობას, თავისი ქონება ნებაყოფლობით დაუთმოს კრედიტორებს მათი დაკმაყოფილების მიზნით (ლათ. cessio bonorum).[12] აღნიშნული პრინციპი ითვალისწინებდა არსებობის შენარჩუნებისათვის მოვალისათვის გარკვეული ქონების დატოვებას.

გაკოტრების სამართალი რომის სამართლის რეცეფციის შემდეგ:

გაკოტრების სამართლის ჩამოყალიბებული სისტემა რომის სამართლის შემდეგ, ზოგიერთი გამონაკლისებით, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში განვითარდა, გერმანიაც ერთ-ერთი მათგანია.[13]

ორი ურთიერთსაპირისპირო სისტემა ჩამოყალიბდა შუა საუკუნეების გაკოტრების ევროპის სამართალში. კრედიტორთა ავტონომიას ეფუძნებოდა პირველი სისტემა, რომელიც ზემო იტალიის ქალაქების სამართალში განვითარდა, მან ზეგავლენა იქონია გერმანიისა და სხვა ქვეყნების სამართალზე. სისტემის მიხედვით, კრედიტორებს მინდობილი ჰქონდათ წარმოების განხორციელება, რომელთაც ნებადართული ჰქონდათ ასევე, რომ გაემათრახებინათ მოვალე, რათა ეიძულებინათ იგი, თავისი ქონება გამოეჩინა. ქონების განკარგვის უფლებას კარგავდა მოვალე, ხოლო განსაზღვრული რიგის მიხედვით ხდებოდა მისი ქონების განაწილება.[14]

---

[12]რ.მიგრიაული, „შესავალი გაკოტრების და გადახდისუუნარობის სამართალში“, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2017წ, გვ :268
[13]იქვე, გვ:270
[14]იქვე,გვ:270

ესპანეთში 1645 წელს ჩამოყალიბდა მეორე სისტემა, რომელიც სასამართლო ხელისუფლების ინიციატივას ეფუძნებოდა, ამ სისტემის მიხედვით წარმოების სადავეები ხელთ ეპყრა სასამართლოს, მასის რეალიზაცია, ქონების ლიკვიდაცია, კრედიტორთა დაკმაყოფილება სასამართლოს ამოცანას წარმოადგენდა. სასამართლოს მიერ კურატორი ინიშნებოდა, რომელიც როგორც მისი დამხმარე ისე გამოდიოდა. კრედიტორი ფაქტობრივად გამორიცხული იყო წარმოებიდან, რასაც მეორე სისტემის მიხედვით, ადგილი ჰქონდა, აქ შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ სასამართლო წარმოადგენდა დომინანტს.[15]

გაკოტრების სამართალი მე-19 საუკუნეში:

ევროპის მრავალმა ქვეყანამ მე-19 საუკუნეში უარი თქვა გაკოტრების სამართლის იმ სისტემაზე, რომელიც წარმოებაში სასამართლოს დომინანტს ადგენდა, აღნიშნული გარემოება წარმოადგენდა მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს, ერთის მხრივ სამართლის სასამართლოს გათავისუფლების საქმეში, სადაც მას ცენზორის ფუნქცია ქონდა შეთავსებული, ხოლო, მეორეს მხრივ, მოვალეთა მიმართ შედარებით უფრო ნაკლებ ჰუმანური გადაწყვეტილებების და მოპყრობის ალბათობის გაზრდა. „ამ მხრივ აღსანიშნავია პრუსიის გაკოტრების 1855წ. დებულება, რომელიც საფუძვლად დაედო გერმანიის გაკოტრების 1877წ. [16] დებულებას, ხოლო ეს უკანასკნელი კი - უპირატესად საქართველოს 1996წ. გაკოტრების კანონს.“ [მიგრიაული.რ, შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში, გვ:271]

[15] რ. მიგრიაული.“ შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2017წ, გვ:270
[16] იქვე, გვ:271

საფრანგეთის 1807წ. გაკოტრების სამართალი, რომელიც ნაპოლეონის code de comerce ცალკე წიგნად იყო ჩართული სახელმძღვანელო პრინციპად გამოიყენა მის წინ არსებული გაკოტრების სამართლის ზოგადი პრიციპები, რასაც ჩვენ უკვე შევეხეთ ნაშრომში. როგორც დადგინდა კვლევების მიხედვით, გაკოტრების ფრანგული სამართლისათვის სახასიათოა იყო გაკოტრების წარმოება, აღნიშნული სამართლის მიხედვით მხოლოდ კომერსანტი შეიძლება ყოფილიყო გაკოტრებაუნარიანი. გაკოტრების წარმოება უნივერსალურ სააღსრულებო წარმოებას წარმოადგენდა, რომელშიც უნდა მოწესრიგებულიყო და გადაწყვეტილიყო ვალაუვალი მოვალის ყველა სამართლებრივი ურთიერთობა.[17] სასამართლოს ამოცანები შემცირდა და მხოლოდ ზედამხედველობა აღარ წარმოადგენდა სასამართლოს ამოცანას მასის მართვა და რეალიზაცია, და აგრეთვე - მისი განაწილება. სასამართლოს ზედამხედველობით ასრულებდა წარმოების ცენტრალური, რომელიც წარმოდგენილი იყო მმართველის სახით, რომელიც სასამართლოს მოხელეს არ წარმოადგენდა. ხელისუფლების მხრიდან კრედიტორები არ იყვნენ შეზღუდულები მოთხოვნების წაყენების ვადებში, ყოველთვის შეეძლოთ წარედგინათ მოთხოვნები. მოთხოვნის მხირვ რიგითობა ასე ნაწილდებოდა:

- პირველ ადგილს სეპარატისტები იკავებდნენ;
- მასის კრედიტორი;
- გაკოტრების კრედიტორები.

გერმანიის 1877 წლის გაკოტრების დებულება:

გერმანიის 1877წ. გაკოტრების დებულება ვალაუვალობის ქართული სამართლისათვის უაღრესად საინტერესოა. რომის სამართალს ძალზე დასცილდა,

[17] რ.მიგრიაული, „შესავალიგაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2017წ, გვ: 271.

გერმანიის გაკოტრების დებულება თავისი სრულყოფილებით. სრულყოფილება გამოიხატულებას ჰპოვებდა არა მხოლოდ კანონის ტექსტის, არამედ შინაარსობრივ სრულყოფაშიც. ქონების აღსრულების სამართალს წარმოადგენდა გაკოტრების დებულება მთლიანობაში.[18] გერმანული სამართალი ფრანგულის მსგავსად მხოლოდ კომერსანტებზე აქცენტირებით არ შემოიფარგლა მან გავრცელება შეძლო არაკომერსანტებზედაც. მხოლოდ წარმოების ხელმძღვანელობა წარმოადგენს გაკოტრების სასამართლოს ფუნქციას.თვითონ კრედიტორები წყვეტენ გაკოტრების წარმოების მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა მოთხოვნების დადგენა და პრივილეგირებული უფლებების განსაზღვრა, მათ ამრიგად, გერმანულ სამართალში გაკოტრების ხელისუფლებრივი სისტემა შეცვლილია კრედიტორთა ავტონომიით.[19] გერმანიის აღნიშნულმა სამართალმა გაკოტრების სამართლის ისეთი ფუნდამენტური ინსტიტუტი მოგვცა, როგორიცაა გაკოტრების საფუძველი, გადახდისუუნარობისა და ზედავალიანების სახით.რომის სამართალში არ გვხვდება, გაკოტრების აღნიშნული საფუძვლები მაგალითად, გადახდისუუნარობა ან ზედავალიანება, აღნიშნული პუნქტები წარმოადგენდნენ გაკოტრების წარმოების დაწყების ერთგვარ წინაპირობას. უნდა აღინიშნოს, რომ გხვდებიან, ერთი მხრივ, მოვალის პირადი კრედიტორები, რომელთაც ქონებრივი პრეტენზიები წარმოების გახსნამდე წარმოეშვათ, საერთო მოვალის წინააღმდეგ და, მეორე მხრივ, ნივთის გამოცალკევებასა და განცალკევებით დაკმაყოფილებაზე უფლებამოსილი კრედიტორები, რომელთაც გაკოტრებისწარმოების გახსნამდე მოიპოვეს უფლებები მასაში არსებული ცალკეული საგნების მიმართ. ძირითადი პრინციპი გაკოტრების ერთობლივი და თანაბარზომიერი დაკმაყოფილება იყო გერმანულ გაკოტრების სამართალში (ლათ. par conditio creditorum). [20] ამ პრინციპით თანაბარზომიერად უდგებოდნენ გაკოტრების ყველა კრედიტორს. მმართველის ფუნქციები რომელიც

[18] რ. მიგრიაული,“ შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2017წ,გვ:272
[19] იქვე, გვ:273
[20] იქვე, გვ: 273

საკმაოდ გაზრდილია, მიკუთვნებული აქვს მასის მართვა და რეალიზაცია. მნიშვნელოვანია ასევე შევეხოთ და განვიხილოთ თუ როგორ ხდებოდა განვითარება საქართველოში გაკოტრების სამართლის ჩამოყალიბება.

„არშემძლეობა“ საქართველოს 1931 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში:

როგორც სამართლის ინსტიტუტი, გაკოტრება პირველად ქართულ სამართალში 1931 წელს, აისახა. კოდექსის II დანართში მოცემული იყო "წესები კერძო - ფიზიკურ და იურიდიულ - პირთა "არაშემძლეობის" შესახებ. თავისი სამართლებრივი შინაარსით, არაშემძლეობა სრულიად ესადაგებოდა გაკოტრებას და გადახდისუუნარობას ასევე ვალაუვალობას. შეიძლება ითქვას, რომ არაშემძლეობის ინსტიტუტის შემოღება დაედო საფუძვლად გაკოტრების სამართლის შემოღებას ქართულ სამართალში. „სახალხო სასამართლოები განიხილავდნენასეთ კერძოდსაქმეებს:

- იურიდიული პირის შემთხვევაში - მათი გამგეობის ადგილსამყოფელის მიხედვით;
- ფიზიკური პირის შემთხვევაში - მისი მუდმივი საცხოვრებელი ან მუდმივი "მოსაქმეობის" ადგილის მიხედვით.“[21]

მოცემული იყო პრევენციის პრინციპიდათქმულ შენიშვნაში: „იმ შემთხვევაში, თუ სხვადასხვა სასამართლოში იქნებოდა აღძრული რამდენიმე საქმე ფიზიკური პირის არაშემძლედ ცნობის შესახებ, ყველა საქმე იმ სასამართლოს გადაეცემოდა, რომელიც პირველად სცნობდა მოვალეს არაშემძლედ ან პირველად აღძრავდა ასეთ საქმეს“. [22] სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენდა იმ სუბიექტთა წრეს, ვისაც უფლება ჰქონდა, აღეძრა არაშემძლეობის საქმე. ესენი იყვნენ:

[21] რ.მიგრიაული.,“შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2017წ, გვ:276
[22] იქვე, გვ:276

- სააღსრულებო ფურცლის ან სააღსრულებო წარწერის მქონე კრედიტორი;
- კრედიტორი, რომელმაც განაცხადა, რომ მოვალის ქონება არ არის საკმარისი მისი ვალის დასაფარავად;
- მოვალე;
- სახელმწიფო ორგანო, რომლის კომპეტენციაშიც შედიოდა მეურნეობის იმ დარგის მოწესრიგება, რომელიც მოვალის საწარმოს შეეხებოდა;
- სასამართლო, თუკი გადახდევინების დროს გამოაშკარავდებოდა სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი არაშემძლეობის ნიშნები;
- პროკურორი. ამრიგად, არაშემძლეობის საქმე შეიძლება აღძრულიყო სახელმწიფოს ინიციატივითაც.[23]

ვალის გასტუმრების შეუძლებლობა არაშემძლეობის საფუძვლად მიიჩნეოდა ხოლო მის გარეგნულ სამხილად მოვალის მიერ ვალის გადახდის შეწყვეტაიყოდადგენილი. სასამართლო მხოლოდ ახდენდა მიმართვას სახელმწიფო ორგანოსადმი წინადადებით, დაენიშნა ერთი ან რამდენიმე ლიკვიდატორი, მოვალის არაშემძლედ ცნობის შემდეგ, რომელთაც გადაეცემოდათ მოვალის ქონების "მართვა-გამგებლობისა და განკარგულების" უფლება. გაკოტრების მმართველებს უთანაბრდებოდნენ, ლიკვიდატორები, რომლებიც თავიანთი ფუნქციური დანიშნულებით მოვალის დაუმთავრებელი პროცესების დამთავრება ევალებოდათ. განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლებოდავადის გაგრძელება. პრეტენზიების განცხადების ვადა კრედიტორებისათვის დადგენილი იყო კანონით რომელიც, სამ თვეს შეადგენდა და იმ დღიდან აითვლებოდა, როდესაც ლიკვიდატორები გამოაქვეყნებდნენ, რომ შეუდგნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას. ლიკვიდატორები ყველა განცხადების გამოქვეყნებას

[23] რ. მიგრიაული,"შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში", გამომცემლობა „ბონა კაუზა", თბილისი, 2017წ, გვ:276

ახორციელებდნენ. მოგვიანებით ხდებოდა გადასინჯვა მათ მიერ მიღებული პრეტენზიებისა რომლებიც რეესტრში შეჰქონდათ, ისინი ადგენდნენ როგორც ცნობილი, ისე უარყოფილი პრეტენზიების სიას და კრედიტორებს აცნობდნენ. მოვალის სახელით დადებული ორმხრივი ხელშეკრულებები,რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ არ იყო შესრულებული არაშემძლეობის გამოცხადებამდე, უქმდებოდა, ხოლო ლიკვიდატორებს ჰქონდათ არჩევანის უფლება. მთელი რიგი შეზღუდვები წესდებოდ ამოვალის არაშემძლედ გამოცხადების დღიდან, რაც დღევანდელ საგაკოტრებო შეზღუდვებს წააგავს. აქ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ აკრძალული იყო მოვალის მოვალის ქონების გასხვისება ანდა გადაცემა. აგრეთვე არაშემძლე მოვალის მიერ მესამე პირის წინააღმდეგ აღძრული საქმეები. მათ ასეთი ქონება უნდა გადაეცათ, გადასახდელი გადაეხადათ ლიკვიდატორებისათვის. ღონისძიებების განხორციელება, აქ გათვალისწინებული იყო ისეთი რომელიც ითვალისწინებდა საწარმოს შენარჩუნებას და მისი საქმეების აღსადგენად, სახელმწიფოს ინტერესებთან დაკავშირებას. „თამამად შეიძლება მტკიცება იმისა, რომ „მოვალის "არაშემძლეობა" სხვა არაფერია, თუ არა დღევანდელი "გადახდისუუნარობა" ან "ვალაუვალობა".[24]„საბჭოთა სისტემისათვის, გაკოტრების ინსტიტუტის არსებობა 20-30-იან წლებში ჯერ კიდევ გამართლებული და "ასატანი" იყო ვინაიდან ამ პერიოდში სამეურნეო ასპარეზზე, სახალხო საწარმოების გარდა, აგრეთვე კერძო სამართლის ისეთი სუბიექტები გვხვდებიან, როგორებიცაა:

- შერეული სააქციო საზოგადოება;
- კოოპერაციული ორგანიზაცია;
- შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა

შემდგომში სამოქალაქო ბრუნვაში სამეურნეო სუბიექტად მხოლოდ სახელმწიფო საწარმოები არიან წარმოდგენილნი, რომელიმე კრედიტორს წარმოუდგენელიიყო, კრედიტორს განცხადება შეეტანა ასეთი საწარმოს გაკოტრების

[24]რ. მიგრიაული, „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2019წ.გვ:276

შესახებ და მისი იძულებითი ლიკვიდაცია მოეთხოვა. ერთიანი სახალხო სამეურნეო გეგმის მიხედვით ხორციელდება სახელმწიფო საწარმოების შექმნა და ლიკვიდაცია. ძირითადი აღნიშნული გარემოება და მიზეზი იმისა, რომ გამოუსადეგარ სამართლებრივ ინსტიტუტად ქცეულიყო "გაკოტრება" სოციალისტური წყობისათვის უფრო მეტიც, 50-იან წლებში მას იდეოლოგიური სარჩულიც დაუდეს და ბურჟუაზიულ ელემენტადაც კი განიხილადვნენ. 60-იან წლებამდე შემორჩა, გაკოტრების ინსტიტუტი საბჭოთა სამართალში, თუმცა ფაქტობრივად მისი პრაქტიკული გამოყენება სავსებით გამორიცხული იყო. „ხოლო სსრ კავშირის რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოში, 60-70-იან წლებში მიღებულ სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში გაკოტრება სამართლიდან უკვე სრულიად იქნა გაძევებული!“[25]

1992 წლის დეკრეტი „საწარმოთა გაკოტრების შესახებ.“

„1990-იან წლებში, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო დამოუკიდებლად შეუდგა საკუთარი სამართლის განახლებასა და ტრანსფორმაციას. განახლება თანაბრად შეეხებოდა როგორც კერძო, ასევე - საჯარო სამართალს. აღნიშნული ცვლილებები საგულისხმო და დასაფასებელია. გაკოტრების სამართალსაც შეეხო განახლება, საქართველოს სახელმწიფო საბჭოს დეკრეტი რომელიც მიღებულ იქნა 1992 წლის 8 სექტემბერს, "საწარმოთა გაკოტრების შესახებ.“ დეკრეტის მიღებით გაკოტრება წარმოადგენდა სამართლის დამოუკიდებელ ინსტიტუტს, სამართლის სისტემაში. უნდა აღვნიშნოთ, რომ გაკოტრების დეკრეტს, საერთოდ არ ჰქონია პრაქტიკული გამოყენება ვიდრე იგი გაუქმდებოდა1997წ. 1 იანვარს ბევრ მიზეზთან არის დაკავშირებული გაკოტრების დეკრეტის 4-წლიანი პრაქტიკული გამოუყენებლობა. ეს აიხსნება იმით, რომ გაკოტრების 1992წ. დეკრეტი გაკოტრების სამართლის ევროპულ სტანდარტებს ბევრად ჩამოუვარდებოდა. აღნიშნული ხარვეზი დიდწილად გამოწვეული იყო

[25] რ. მიგრიაული.“შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“, გამომცემლობა“ ბონა კაუზა“, თბილისი, 2017წგვ:278

სამართლის თეორიისაა და პრაქტიკის არაჯეროვანი შესწავლით, რაც საერთაშრისო პრაქტიკაში იყო დამკვიდრებული. აღნიშნული ასევე დიდწილად გამოწვეული იყო იმითაც, რომ საფუძვლად დაედო რუსეთის ფედერაციის ანალოგიური სახელწოდებით კანონპროექტი, რომელიც ასევე, თავის მხრივ, თეორიისა და პრაქტიკის ანალიზს იყო მოკლებული. აღნიშნული წარმოადგენდა, რუსული კანონპროექტის შეკვეცილი ვარიანტს. გაკოტრების დეკრეტი თავისი სახელწოდებიდან გმოდინარე, აწესრიგებდა მხოლოდ საწარმოების გაკოტრების საკითხებს. გაკოტრების საქმის წარმოება შეიძლება აღძრულიყო როგორც რაიონის სასამართლოში, ისე - საარბიტრაჟო სასამართლოში. გაკოტრების საქმის ორმაგი ქვემდებარეობა, ბევრ გაურკვევლობას მოიტანდა დეკრეტის პრაქტიკული ამოქმედების შემთხვევაში, ასევე წარმოადგენდა დეკრეტის ნაკლს ის, რომ იგი არ იძლეოდა მოვალის იმ ქონების დახასიათებას, რომელიც კრედიტორების დასაკმაყოფილებლად უნდა წარმართულიყოდა არ გამოაცალკევებდა მას წარმოების აღძვრის შემდეგ შეძენილი ქონებისაგან. არ გააჩნდა არავითარი სამართლებრივი დატვირთვა საწარმოს აქტივებისა და პასივების უბრალო ჩამონათვალს. დეკრეტით მოვალესა და საკონკურსო კრედიტორს ჰქონდა მინიჭებული გაკოტრების საქმის აღძვრის უფლება. თავისი შინაარსით "საკონკურსო კრედიტორი" წარმოადგენდა გაკოტრების დღევანდელ სამართალში მოცემულ "გაკოტრების კრედიტორს". მოვალის მოთხოვნის უზრუნველყოფასთან მიმართებაში,ხდებოდა მისი დეფინიცია კერძოდ კი, ასეთად ჩაითვლებოდა კრედიტორი, რომელსაც მოვალესთან არ აკავშირებდა გირავნობის ვალდებულება. სამი თვის განმავლობაში უნდა წარმოშობილიყო საკონკურსო კრედიტორის პრეტენზია შესრულების ვადიდაზე. „წინასწარი პროცედურის ინსტიტუტი დეკრეტით იყო გათვალისწინებული, რომელიც აწესრიგებდა სასამართლოსმიერ დანიშნულ სპეციალურ სხდომაზე გაკოტრების საქმის წარმოების შეჩერებისა და მოვალის გაჯანსაღების საკითხებს, მოვალის ან მისი წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე. დადებითი გადაწყვეტილების მიღების

შემთხვევაში საჭირო ხდებოდა, აგრეთვე, მესამე პირის თავდებობა კრედიტორთა ქონებრივი პრეტენზიების დაკმაყოფილებასა და სასამართლო ხარჯების დაფარვაზე. ასეთის არარსებობის შემთხვევაში სასამართლო პრესაში აცხადებდა მოვალის სანაციაში მონაწილე პირთა კონკურსს. გამარჯვებულის არგამოვლენის შემთხვევაში განახლდებოდა გაკოტრების შესახებ საქმის წარმოება. მოვალეს თვითონაც შეეძლო მიემართა კრედიტორისთვის სამომრიგებლო შეთანხმების დადების თაობაზე. ასეთი შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში მორიგებას სასამართლო ამტკიცებდა. ამრიგად, წინასწარ პროცედურის ინსტიტუტი წარმოადგენდა სასამართლოსგარეშე და სასამართლოსმიერი სანაციის სხვადასხვა სახეს. სასამართლოსმიერი სანაციის განხორციელებას გულისხმობდა სამომრიგებლო შეთანხმება, რომელიც შეიძლება დადებულიყო გახსნილი საკონკურსო წარმოების ნებისმიერ სტადიაზე. ამასთან, შეთანხმება იდებოდა მხოლოდ მესამე და შემდგომი რიგის პრეტენზიების მქონე კრედიტორებთან.[26]

2001 წლის ნოვაცია გაკოტრების 1996 წლის კანონში

კანონში შეტანილი იქნა მნიშვნელოვანი ცვლილებები და დამატებები თითქმის 5 წლის შემდეგ, 2001წ. 10 აპრილს ცვლილებებითა და დამატებებით კანონი ძირეულად შეიცვალა, ზოგიერთი მუხლი ახლებურად ჩამოყალიბდა, ზოგიერთები - გაერთიანდა, ზოგი, დანაწევრდა. რაც მნიშვნელოვანია, კანონს დაემატა ახალი III-1 თავი რეაბილიტაციის შესახებ. სამართლის ახალი ინსტიტუტები იქნა შემოღებული კანონში. სანაციის ინსტიტუტი გაქრა, ზოგიერთი ინსტიტუტი დაზუსტდა და მის თეორიულ შინაარსს მიუახლოვდა. ყველაზე მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებად შეიძლება ჩაითვალოს რეაბილიტაციის ინსტიტუტის შემოღება გაკოტრების სამართალში 2001 წლის.

[26]რ. მიგრიაული, „შესავალი გაკოტრების და გადახდისუუნარობის სამართალში“, გამომცემლობა ბონა კაუზა,თბილისი, 2017წ, გვ:283.

განხორციელდა გაკოტრების განცხადების განხილვის წარმოების დეტალიზაცია, გაკოტრების განცხადების შინაარსი ცალ-ცალკე დაკონკრეტდა კრედიტორისა და მოვალისათვის. გაკოტრების კანონით დადგენილი ნორმების გამოყენების უპირატესობა გაკოტრების სასამართლოს კანონით პირდაპირ მიეთითა სამოქალაქო საპროცესო ნორმებთან შედარებით მიახლოება.

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონი 2007 წლის მარტის მდგომარეობით:

"გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" (2007წ. 28 მარტს მიღებულ იქნა კანონი"გადახდისუუნარობის შესახებ) აღნიშნული კანონი ამოქმედდა 2007 წლიდან.[27]

გადახდისუუნარობის წარმოებებისათვის გადახდისუუნარობის კანონი ადგენს მხოლოდ 2 სასამართლოს:

- თბილისის სასამართლოები;
- ქუთაისის საქალაქო სასამართლოების სპეციალურ განსჯადობას, რომელთა იურისდიქცია, შესაბამისად, ვრცელდება თბილისის საქალაქო სასამართლოს შემთხვევაში - აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შემთხვევაში - დასავლეთ საქართველოში.

ყველა კერძო სამართლის იურიდიულ პირს გადახდისუუნარობის კანონი ვალაუვალობაუნარიან სუბიექტებად აღიარებს. სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებულ არაიურიდიულ პირებს:

- არარეგისტრირებულკავშირს;
- ამხანაგობას.[28]

---

[27]მიგრიაული.რ,“ შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2017წ, გვ:286
[28]იქვე, გვ:286

გარდა ინდივიდუალური მეწარმისა აღნიშნული კანონით ვალაუვალობაუნარიან სუბიექტს არ წარმოადგენს ფიზიკური პირი, გადახდისუუნარობის კანონის მოქმედება არ ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, ასევე არ ვრცელდება ბანკების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებისა და სადაზღვევო კომპანიების მიმართ, რომელთა გადახდისუუნარობის საკითხს სპეციალური კანონმდებლობა აწესრიგებს. მიჩნეულია გადახდისუუნარობის საფუძვლებად მხოლოდ 2 საფუძველი:

- მოვალის გადახდისუუნარობა და მოსალონდელი გადახდისუუნარობა.
- ზედავალიანება, როგორც გადახდისუუნარობის ძირითადი და სტანდარტული საფუძველი.[29]

როგორც მოვალეს, ისე - კრედიტორებს, გადახდისუუნარობის განცხადების შეტანა შეუძლიათ. დადგენილია მთელი რიგი ბარიერები კრედიტორებისათვის განცხადების შესატანად. ეს შეეხება როგორც სახელმწიფოს, საგადასახადო მოთხოვნასთან დაკავშირებით, ისე კერძო კრედიტორს. „ერთმა კერძო კრედიტორმა დამატებით უნდაწარადგინოს აგრეთვე სხვა კრედიტორთა სასარგებლოდ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული არანაკლებ 2-სასამართლო გადაწყვეტილება. ეს წინაპირობები არ გავრცელდება ისეთ კრედიტორებზე, რომელთა მოთხოვნაც ბოლო ფინანსური ანგარიშგების მიხედვით აღემატება მოვალის საერთო მოთხოვნათა 30%-ს. თუმცა ამის გაანგარიშება არც თუ ისე ადვილია კრედიტორისათვის, რომელსაც ხელი არ მიუწვდება მოვალის ფინანსურ ანგარიშგებაზე. [30] სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, გათავისუფლებული იყო გადახდისუუნარობა, გადახდისუუნარობის კანონი ითვალისწინებს კრედიტორთა შემდეგ ორგანიზაციებს:

- კრედიტორთა კრება და კრედიტორთა კომიტეტი.

---

[29]მიგრიაული.რ, „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“,გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2017, გვ:287

[30] იქვე, გვ:287

- არ ხდება კრედიტორთა კრებების ნომინირება და ყველა კრება წარმოადგენს კრედიტორთა პირველ კრებას.

მოვალის ქონების რეალიზაციით მიღებული ამონაგებიდან კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება იკითხება. კრედიტორთა მოთხოვნები განთავსებულია კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრში რომელიც 6 რიგს ითვალისწინებს. რეაბილიტაციის წარმოებასაც ითვალისწინებს გადახდისუუნარობის კანონი, კრედიტორთა გადაწყვეტილებით მომზადება შეიძლება დაევალოს მოვალეს, კრედიტორს ან რეაბილიტაციის მმართველ სანდა რამდენიმე მათგან სერთდროულად. კრედიტორთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით ამ ვადის გაგრძელებაც შესაძლებელია. რეაბილიტაციისგეგმაუნდაგანიხილოსმომრიგებელმასაბჭომ, რომელიც ბოლოს დასამტკიცებლად წარედგინება უზრუნველყოფილ კრედიტორებს. რეაბილიტაციის გეგმა უნდა მოიცავდეს მოვალი სფინანსური სიძნელეების გადაჭრასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხს. ვალებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლებას ან შეცვლას, რეაბილიტაცია ითვალისწინებს ,კანონი უშვებს რეაბილიტაციას ცვლილებების შეტანისას, გეგმაში რომელიც იმავე პროცედურით განხორციელდება, როგორც გეგმის დამტკიცება. მნიშვნელოვანი და საყურადღებო ფაქტორს წარმოადგენს ის გარემოება, თუ როგორ იყო წარმოდგენილი საქართველოს გადახდისუუნარობის სამართალში გაკოტრების წინაპირობები, კრედიტორები და გაკოტრების მასა და ასევე რეაბილიტაცია.

აქ ჩვენ შეგვიძლია მოკლე მიმოხილვა გავაკეთოთ, რაც დაგვეხმარება არსებული რეფორმასთან შემდგომში შედარების და ანალიზის მარტივად გაკეთებაში. გაკოტრებაუნარიანობა წარმოადგენს პირის უნარს „დაექვემდებაროს გაკოტრებას“ რაც იმას ნიშნავს, რომ ვალაუვალ მევალედ გვევლინება გაკოტრების წარმოების პროცესში. აღნიშნული ფორმულირება წარმოდგენილია 1996 წლის კანონის რედაქციის მიხედვით, თითქმის იგივე შინაარსის მატარებელია 2007 წლის

რედაქციის დროს, აქ საუბარია ვალაუვალობაუნარიანია სუბიექტი, რომელიც შესაძლოა აღმოჩნდეს გადახდისუუნარობის წარმოებაში. აქ ჩვენ ვხედავთ თითქმის მსგავსებას აღნიშნული რედაქციების შემთხვევაში. ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ვალაუვალუნარიანობა ვალაუვალი მოვალის ისეთი მდგომარეობაა, როდესაც მის ქონებაზე შესაძლებელია გაკოტრების წარმოება გახსნა.“[31] აქ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ გაკოტრებაუნარიანობისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელია ქონება, თუ არ იქნება ქონება ჩვენ ვერ ვისაუბრებთ გაკოტრებაზე, რადგან მთავარი საკვანძო საკითხს ქონება წარმოადგენს, რომელზედაც უნდა განხორციელდეს გაკოტრება. ამ შემთხვევაში ქონება საკმარისი უნდა იყოს რათა მოხდეს შესაბამისი ხარჯების დაფარვა.1996 წლის კანონის თანახმად გაკოტრებაუნარიანი იყო ყველა ვინც სამოქალაქო სამართლის თანახმად იყო მიჩნეული კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად. ასეთად კი აღიარებული იყო როგორც ქვეყნის შიგნით არსებული ფიზიკური და იურიდიული პირები ისე მის ფარგლებს გარეთ. აქვე უნდა დავადგინოთ, რომ აღნიშნული კანონის მიხედვით არ არის საკმარისი გაკოტრებაუნარიანად აღიარებისათვის მისი კერძო სამართალსუბიექტობა. გაკოტრების სამართალი გაკოტრების გახსნის შესაძლებლობას განიხილავდა ქონებასთან მიმართებაში. იმ შემთხვევაში თუ ქონება ფაქტობრივად არ არსებობდა მაშინ დასაშვები იყო გაკოტრების წარმოების დაწყება. საქართველოს 1996 წლის კანონის მიხედვით მოვალის ქონება უნდა ყოფილიყო საკმარისი რათა სალიკვიდაციო ხარჯების დაფარვა პრობლემა არ გამხდარიყო, აღნიშნული პუნქტი მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენდა სამართლის მაშინდელ რედაქციაში. აქვე უნდა შევეხოთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხს როგორიც არის გაკოტრების საფუძვლის წარმოდგენა და მისი განვითრების მოკლე აღწერა, 1996 წლის კანონი გაკოტრების ორ საფუძველს ითვალისწინებდა:

- გადახდისუუნარობას;

[31]მიგრიაული.რ, „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“, გამომცემლობა „ბონა კაუზა“,თბილისი, 2017 წ, გვ:39

- ზედავალიანებას.

2001 წელს მნიშვნელოვანი ნოვაციის საფუძველზე აღნიშნულ საფუძვლებს კანონმდებლებმა დაუმატეს მოსალოდნელი გადახდისუუნარობა, ხოლო 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონს, აღნიშნულ კანონში მხოლოდ ორი საფუძველის აღიარება მოხდა, ესენია:

- გადახდისუუნარობა;
- მოსალოდნელი გადახდისუუნარობა.

2007 წლის კანონი გადახდისუუნარობის შინაარსს გადმოსცემს და განმარტავს შემდეგნაირად, ამის თანახმად გადახდისუუნარობა წარმოადგენს მოვალის უუნარობას, დააკმაყოფილოს კრედიტორთა ვადამოსული მოთხოვნა. კანონი გამოკვეთდა გადახდისუუნარობის წარმოჩენისას სამ მნიშვნელოვან ელემენტს:

- გადახდის ვალდებულებების არსებობა;
- ვალდებულებების შესრულების დრომოსულობა;
- მოვალის მიერ მათი შესრულების შეუძლებლობა.

აღნიშნული კანონი მხოლოდ ორ მნიშვნელოვან ელემენტზე აკეთებს მითითებას ესენია:

- მოვალის უუნარობა
- კრედიტორთა ვადამოსული მოთხოვნა

აქ მთავარი აქცენტი გაკეთდა ფულადი ვალდებულებების შესრულებაზე, რაზედაც კანონმდებელმა გააკეთა მკაფიო მინიშნება. მოსალოდნელი გადახდისუუნარობას ქართულ სამართალში საფუძველი 2001 წელს ჩეყარა, რომელიც გერმანული სამართლის ანალოგს წარმოადგენს, რადგან აღნიშნული გერმანული სამართლიდან არის ნასესხები.2007 წლის კანონი არ იძლევა ზუსტ

დეფინიციას მაგრამ შინაარსობრივად განმარტებულია მოვალესთან ერთად და მასთან მიმართებით.

თავი მეორე: ვალაუვალობის სამართლის რეფორმის სიახლეები

2.1. ვალაუვალობის რეფორმის არსი

საქართველოს გადახდისუუნარობის სამართლის ახალმა რეფორმამ გამოიწვია მოქმედი გადახდისუუნარობის სამართლის მაქსიმალურად დახვეწა და მისი თანამეროვე მოთხოვნებსა და სტანდარტებთან ჰარმონიზება. ნაშრომის პირველი თავი გადახდისუუნარობის სამართლის ისტორიულ დისკურსს დავუთმეთ, ასევე, დღეის მდგომარეობით არსებულ მოცემულობას, რაც შესაძლებლობას მოგვცემს აღნიშნულ თავში ვისაუბროთ და განვიხილოთ ჯერ ძალაში არ შესული და განხილვის პროცესში მყოფი საკანონმდებლო რეფორმა, რაც ჩემი აზრით, მოითხოვს დეტალურ გაანალიზებას და შედარებას წინამორბედთან (როგორც დღეს მოქმედ კანონთან, ისე 1996წ. გაკოტრების კანონთან), ახალი რეფორმა რა ხარვეზებზე აკეთებს აქცენტს, ან აღნიშნული საკანონმდებლო მონიშვნები თუ შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს და საერთაშორისო მოთხოვნებს. როგორც პრაქტიკამ აჩვენა, კერძო კომპანიები თავიანთ საქმიანობის პროცესში ხშირად აწყდებიან საკვანძო საკითხებს, გადახდისუუნარობის სამართლებრივ ასპექტებთან მიმართებით. რეფორმაში ჩართული ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს გაეროს საერთაშორისო სავაჭრო კომისიის შემუშვებული სამართლებრივი სახელმღვანელო გადახდისუუნარობის სისტემის შესახებ. აღნიშნული სახელმძღვანელოს მიზანია დაწესდეს ეფექტური სამართლებრივი რეგულაციები, რათა მოხდეს მოვალეთა ფინანსურ სიძნელეებთან გამკლავება. აღნიშნული წარმოადგენს შიდაეროვნული მთავრობების და საკანონმდებლო ორგანოებისათვის გარკვეული რეკომენდაციებისა და რეგულაციების შემუშავებას, როგორც ახალი, ისე არსებული

კანონმდებლობებისათვის. [32] ჩემი აზრით, აღნიშნული სახელმძღვანელო, მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს, მისი დახმარებითა შესაძლებელი გახდება, სრულფასოვნად შემუშავდეს და დაბალანსდეს მოვალისა და კრედიტორების ურთიერთობა, მოვალის რეაბილიტაციის ასევე კრედიდორთა მოთხოვნების დაბალანსება.

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნეს ისეთი საკითხები როგორიცაა:

- ეკონომიკური სტაბილურობისა და ზრდისთვის მნიშვნელოვანია სიცხადე ბაზარზე;
- ქონების ღირებულების ზრდა;
- უნდა მოხდეს ბალანსის შენარჩუნება გაკოტრებასა და რეაბილიტაციას შორის;
- აუცილებელია ერთნაირ პირობებში მყოფი კრედიტორებისათვის თანაბარი პირობების მინიჭება;
- დროული, ეფექტური და მიუკერძოებელი საქმის წარმოების ხელმისაწვდომობა;
- სამეურნეო ქონების დაცვა/შენარჩუნება კრედიტორთა შორის სამართლიანი გადანაწილების მიზნით;
- კრედიტორების უფლებების აღიარება და რიგებში განაწილების წესი.[33]

ვფიქრობ, საკითხთა აღნიშნული ჩამონათვალი, რაც სახელმძღვანელო დოკუმენტის მიხედვით არის წარმოდგენილი, შესაბამისი რეკომენდაციებისდა მიხედვით საჭიროებს გათვალისწინებას და მათ ასახვას, რადგანაც ხელს შეუწყობს ბაზარზე ეკონომიკურ განვითარებს, მოვალისა და კრედიტორების ინტერესების

[32] UNCITRAL Model Law on Recognition and Enforcement of Insolvency-Related Judgments,http://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/Interim_MLIJ.pdf
[33] UNCITRAL Model Law on Recognition and Enforcement of Insolvency-Related Judgments,http://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/Interim_MLIJ.pdf

დაცვას, დროულ, სწრაფ და ეფექტურ საქმის წარმოებას, რაც ვფიქრობ ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა დღევანდელი რეალობის, რადგანაც მოქმედი კანონმდებლობა, არ იძლევა ამის საშუალებას და საქმის წარმოება შესაძლოა ითქვს, გრძელდება უსასრულოდ.

კრედიტორთა ინტერესების თანაბარზომიერი დაცვა: გადახდისუუნარობის ახალი რეფორმის მუხლი:1 კანონის მიზანი, აღნიშნული მუხლში მომხდარია გარკვეული ცვლილებები, პირველი რითაც იწყება განმარტება ეს არის: „ამ კანონის მიზანია კრედიტორთა მოთოვნების კოლექტიური დაკმაყოფილება შესაძლებლობის შემთხვევაში რეაბილიტაციის მიღწევის ან შეუძლებლობის შემთხვევაში გადახდისუუნარობის რეალიზაციიდან მიღებული თანხების განაწილების გზით.“[34] პროექტის მიზნის განსაზღვრისას გარკვეული ცვლილება არის შეტანილი, თუ არსებული რედაქციის მიხედვით საუბარია მოვალისა და კრედიტორის ინტერესების თანაბარზომიერ დაცვაზე, ახალი რედაქციის მიხედვით შემოდის ტერმინი - კრედიტორთა ინტერესების კოლექტიური დაკმაყოფილება. არსებული რედაქციიდან სიტყვა თანაბარზომიერი ამოღებულია, რაც მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენს კანონმდებლობის მიზნის განსაზღვრის საქმეში. აღნიშნული გადახდისუუნარობის რეფორმა სამოქმედო პრინციპებად სახავს გადახდისუუნარო მოვალის საქმიანობისა და გადახდისუუნარობის მასის სწორ მართვას, აღნიშნული საკითხი ვფიქრობ, მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო პრინციპია, რადგან გადახდისუუნარო მოვალის საქმის წარმოება მოითხოვს ეფექტურ მართვას, რაც მნიშვნელოვანია კერძოსუბიექტების საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის და ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით. ასევე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს გადახდისუუნარობის მასის და ბიზნესის ღირებულების შენარჩუნებისა და გაზრდის პრინციპი, რასაც ეფუძნება შემოთავაზებული რეფორმა, აღნიშნული პრინციპი მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა ბიზნეს საზოგადოებისთვის, აღნიშნული პრინციპის შემოტანით გარკვეული დაცვის მექანიზმი შემოდის.

[34]საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის შესახებ“ პროექტი მუხლი:1

მსგავსი უფლების მქონე კრედიტორთა თანაბარი მოპყრობა: ასევე ბოლო პრინციპად აღიარებულია "მსგავსი უფლებების მქონე კრედიტორთა თანაბარი მოპყრობა", რაც ვფიქრობთ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს, რადგან არსებული და წინა რედაქციები აღნიშნულ პრინციპს სრულად არ ითვალისწინებდნენ, რაც ხშირ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება კერძო და სახელმწიფო უპირატესობას, სახელმწიფოსკენ იხრება, რაც არასამართლიან და არაკონკურენტულ პირობებს უწყობს ხელს. ახალი რედაქციის მიხედვით აღნიშნული ხარვეზი დაძლეული და გამოსწორებულია. წარმოდგენილი პრინციპები შესაბამისობაში მოდის გაეროს სახელმძღვანელო დოკუმენტთან.

გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი:

ასევე მნიშვნელოვან დამატებას წარმოადგენს ახალი, რეფორმის მიხედვით, **გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი,** აღნიშნული წარმოადგენს შესაბამისი კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე პროფესიული წრეების წარმომადგენელ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც უნდა იყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და კეთილსინდისიერი. მისი მონაწილეობა გადახდისუუნარობის საქმეში განისაზღვრება კანონით, არსებული რედაქციისგან განსხვავებით აქ საუბარია იმაზე, რომ გაკოტრების მმართველის ასევე რეაბილიტაციის, რეაბილიტაციის ზედამხედველისა და რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველის თანამდებობაზე მხოლოდ გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი უნდა დაინიშნოს. რეაბილიტაციის/გაკოტრების მმართველი, რეაბილიტაციის ზედამხედველი შეირჩევა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემთხვევით განაწილების პრინციპის დაცვით. რეაბილიტაციის/გაკოტრების მმაართველის, რეაბილიტაციის ზედამხედველის ავტომატურად შერჩევის ელექტრონულის სისტემის დროებითი შეფერხებისას დასაშვებია რეაბილიტაციის/გაკოტრების მმართვლის ელექტრონული სისტემის გარეშე, რიგითობის წესით შერჩევა, რაც გულისხმობს საქმეების შერჩევის რიგითობისა და

გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთან ერთიან რეესტრში მმართველების ანბანური რიგითობის მიხედვით შერჩევას. სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს ერთზე მეტი მმართველის დანიშვნის საჭიროება, თუ ეს გამომდინარეობს საქმის სირთულიდან და მოვალის წლიური ბრუნვა აღემატება 100 მილიონ ლარს. [35]

თუ დავაკვირდებით, აშკარაა, რომ გადახდისუუნარობის პრაქტიკოსს ათვისებული აქვს ყველა ის ფუნქცია რაც, 1996-2007 წლის კანონების მიხედვით, გააჩნდათ გაკოტრებისა და რეაბილიტაციის მმართველს. მეტი თვალსაჩინოებისათვის გადავხედოთ 1996-2007 წლის კანონმდებლობის მიხედვით გაკოტრებისა და რეაბილიტაციის მმართველთა ფუნქციებს.

2007 წლის „გადახდისუუნარობის შესახებ“ კანონის მიხედვით, გაკოტრების პროცესში საწარმოს მართვასა და წარმომადგენლობას ახორციელებს გაკოტრების მმართველი. გაკოტრების მმართველი შესაძლებელია იყოს როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირი. გაკოტრების მმართველი უნდა იყოს მხარეთაგან დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, კეთილსინდისიერი (იურიდიული პირის შემთხვევაში - საქმიანი რეპუტაციის მქონე) პირი. გაკოტრების მმართველა არ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც ახორციელებს იმავე ან მსგავს საქმიანობას, როგორსაც მოვალე.[36] როგორც ჩანს, 2007 წლის კანონმდებლობით იგივე ფუნქციები გააჩნია გადახდისუუნარობის მმართველს, რაც ახალი რეფორმის მიხედდვით გააჩნია გადახდისუუნარობის პრაქტიკოსს. თითქმის იდენტური ფუნქციებითაა დატვირთული 1996 წლის კანონის მიხედვით გაკოტრების მმართველი, რომელიც უნდა იყოს შესაბამისი გამოცდილების მქონე, ვალაუვალი მოვალისა და კრედიტორისაგან დამოუკიდებელი პირი. დაუშვებელია გაკოტრების მმართველად იმ პირის არჩევა (დანიშვნა), რომელიც ეწევა იმავე ან მსგავს საქმიანობას, როგორსაც მოვალე. გაკოტრების მმართველს კრედიტორთა პირველ კრებამდე ნიშნავს გაკოტრების სასამართლო. სასამართლოს შეუძლია გაკოტრების მმართველად

[35] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ პროექტი, მუხლი 10
[36] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ 2007წ ,მუხლი 37

დანიშნოს ასევე გაკოტრების დროებითი მმართველიც. გაკოტრების არჩეულ მმართველს თუ იგი აკმაყოფილებს ამ კანონის მოთხოვნებს, ამტკიცებს გაკოტრების სასამართლო.[37] ახლა შედარება გავაკეთოთ გადახდისუუნარობის პრაქტიკოსსა და 1996-2007 წლის კანონების თანახმად, რეაბილიტაციის მმართვერლს შორის. 2007 წლის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის თანახმად, რეააბილიტაციის პროცესს წარმართავს რეაბილიტაციის მმართველი. რეაბილიტაციის მმართველი შესაძლოა იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. რეაბილიტაციის მმართველი უნდა იყოს მხარეთაგან დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, კეთილსინდისიერი (იურიდიული პირის შემთხვევაში - საქმიანი რეპუტაციის მქონე) პირი. რეაბილიტაციის მმართველად არ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც ახორცილებს იმავე ან მსგავს საქმიანობას, როგორსაც მოვალე.[38] აქაც ვხედავთ, რომ რეაბილიტაციის მმართველი იგივე ფუნქციებითააა დატვირტული, როგორიც გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი. განსხვავებული მიდგომა იყო 1996 წლის კანონის მიხედვით, რეაბილიტაციის მმართველი უნდა იყოს სათანადო გამოცდილების მქონე, მოვალისა და კრედიტორებისაგან დამოუკიდებელი ფიზიკური ან იურიდიული პირი. დაუშვებელია რეაბილიტაციის მმართველად იმ პირის არჩევა (დამტკიცება), რომელიც ეწევა იმავე ან მსგავს საქმიანობას, როგორსაც მოვალე. კრედიტორებთან შეთანხმებით რეაბილიტაციის მმართველად შესაძლოა შერჩეულ იქნეს ასევე მოვალე, თუ გაკოტრების განცხადება შეტანილია მოვალის მიერ და რეაბილიტაცის ხორციელდება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის გადავადების შესახებ განჩინების საფუძველზე.[39]

ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი ცვლილება არ განხორციელებულა იმით რომ, რეაბილიტაციის/გაკორებისა და ზედამხედველის მმართველთა ფუნქციები შეითვისა გადახდისუუნარობის პრაქტიკოსმა, რადგანაც უფლებამოსილებები თითქმის იდენტურია.

---

[37] საქართველოს კანონი“ გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ 1996წ, მუხლი: 15

[38] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ 2007წ 2007 მუხლი 44

[39] საქართველოს კანონი“ გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ 1996წ, მუხლი 25, პრიმა 4

კანონპროექტის მე-11 მუხლიში მოცემული,ა თუ ვინ არ შეიძლება დაინიშნოს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში რეაბილიტაციის/გაკოტრების მმართველად, რეაბილიტაციის ზედამხედველაად. პირი, რომელიც ამ საქმეში თვითნ წარმოადგენს მხარეს, ან მას ამა თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს; მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია; პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში.[40] აქ ყველაფერი ცალსახაა, წინააღმდეგ შემთხვევაში, რეაბილიტაციის/გაკოტრების მმართველად, რომ დაინიშნოს ისეთ პირი, რომელიც თვითონ წარმოადგენს მხარეს ვერ იქნება იგი მიუკერძოებელი და ვერც თანაბარზომიერების პრინციპი იქნება დაცული.

რეგულირებული შეთანხმება:

მნიშვნელოვანია აღინიშნოს **რეგულირებული შეთანხმების** შესახებ, ახალი რეფორმის მიხედვით რეგულირებული შეთანხმება არის მოვალესა და კრედიტორებს შორის მიღწეული შეთანხმება, რაც გულისხმობს იმას, რომ თითოეული კრედიტორი მიიღებს იმდენს, რასაც მიიღებდა მოვალის გაკოტრების შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევისა , როცა კრედიტორი ეთანხმება სხვაგვარ დაკმაყოფიებას. რეგულირებული შეთანხმების შესრულების სამართლებრივი შედეგია მოვალის იმ ყველა ვალდებულების სრულად და საბოლოოდ შესრულებულად ჩათვლა, რომელიც არსებობდა რეგულირებული შეთანხმების დამტკიცების მომენტისთვის და რომელიც დაექვემდებარა რეგულირებულ შეთანხმებას. რეგულირებული შეთანხმების მიზანია მოვალის, როგორც მოქმედი ბიზნეს სუბიექტის გადარჩენა, რაც გამორიცხავს შეთანხმების ფარგლებში მოვალის ლიკვიდაციას, ხოლო რეგულირებული შეთანხმების ფიზიკური პირის მიმართ გამოყენების შემთხვევაში - ფიზიკური პირის ვალებისგან გათავისუფლება. რეგულირებული შეთანხმების მიუღწევლობა რეგულირებული შეთანმების

[40] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ პროექტი, მუხლი 11

ზედამხედველს ანიჭებს უფლებას, სასამართლოში მოვალის მიმართ შეიტანოს რეაბილიტაციის ან გაკოტრების განცხადება. [41]

შეთავაზების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირები: კანონპროექტი ასევე განსაზღვრავს შეთავაზების განხორციელებაზე უფლებამოსილ პირებს, ესენი არიან: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მოვალის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი და ფიზიკური პირის შემთხვევაში თავად ეს პირი. შეთავაზება უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ პირობებს: ა)რა გზით მოხდება საწარმოს ვალდებულებების დაკმაყოფილება, შეცვლა, გადავადება ანსხვაგვარად მოწესრიგება; ბ)რა ღონისძიებები განხორციელდება იმ კრდიტორების მიმართ, რომლებიც მოვალესთან დაკავშირებული პირები არიან; გ) თუ შეთავაზება ითვალისწინებს განაწილებას, გასანაწილებელი თანხის ოდენობები, განაწილების ვადები და კრედიტორთა რიგები; დ)რეგულირებული შეთავაზების მიზმებისთვის, შემოთავაზებულია თუ არა წვდომა ახალ ფულად სახსრებზე, კრედიტზე ან/და გარანტიებზე,შესაბამისი პირობების აღწერილობით, მათ შორის, მოვალის ქონების უზრუნველყოფით დატვირთვის პირობით თუ მის გარეშე ე) დეტალური მონაცემები მოვალისთვის ახლად შეთავაზებულ დაფინანსების წყაროებზე და მათი დაკმაყოფილების გზემზე; ვ) რეგულირებული შეთანხმების მიზნებისთვის მოზიდული ან/და განკუთვნილი თანხების განკარგვის გზები და მეთოდები კრედიტორებზე განაწილების განხორციელებამდე; ზ) მოვალის საქმიანობისა და ბიზნესის წარმართვის გზები რეგულირებული შეთანხმების შესრულების განმავლობაში.[42]

რეგულირებული შეთანხმების დამტკიცების სამართლებრივი შედეგები: თუ რეგულირებული შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, არცერთ კრედიტორს არ აქვს უფლება მოვალის წინააღმდეგ შეიტანოს სარჩელი ან

[41] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ პროექტი, მუხლი 18

[42] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ პროექტი, მუხლი 23

წამოიწყოს ან განაგრძოს ნებისმიერი დავა ისეთ მოთხოვნაზე, რომელიც რეგულირებული შეთანხმებითაა მოწესრიგებული, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ირღვევა რეგულირებული შეთანხმება. რეგულირებული შეთანხმების დამტკიცებისთანავე, მოვალის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელმა პირებმა რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველს უნდა მისცეს შეუზღუდავი წვდომა რეგულირებული შეთანხმებისათვის განკუთვნილ აქტივებზე, შეთანხმების შესაბამისად, ზედამხედველობის ფუნქციების განხორციელების მიზნით.[43]

რეგულირებული შეთანხმების შესრულება: რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველი ზედამხედველობს რეგულირებული შეთანხმების შესრულებას, თუ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მოვალის კრედიტორი ან სხვა დაინტერესებული პირი უფლებამოსილია, სასამართლო წესით გაასაჩივროს რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველის ქმედება ან გადაწყვეტილება. სასამართლო უფლებამოსიია დაამტკიცო, გააუქმოს ან შეცვალოს ზედამხედველის ქმედება ან გადაწყვეტილება. რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველი უფლებამოსილია, მიმართოს სასამართლოს რეგულირებული შეთანხმების საფუძველზე წამოჭრილ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების მიზნით.[44]

რეგულირებული შეთანხმების დასრულება: რეგულირებული შეთანხმება დასრულდება რეგულირებული შეთანხმების დასრულებით; შეთანმების ნაადრევად შეწყვეტით. [45]

---

[43] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ პროექტი, ი მუხლი 33
[44] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ პროექტი, ი მუხლი 37
[45] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ პროექტი, მუხლი 40

2.2. ფიზიკური პირი, როგორც ვალაუვალობის საქმის წარმოების სუბიექტი

მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს შედარება მოვახდინოთ 1996 წლის კანონის 2007 წლის კანონთან, სადაც, ერთ შემთხვევაში, კანონის მოქმედება ვრცელდებოდა ფიზიკურ პირებზეც, ხოლო შემდგომ, ამოღებული იქნა და სახე იცვალა, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონის მოქმედების სფეროში ფიზიკური პირის საკითხის განხილვა მნიშვნელოვან კომპონენტად ჩამოყალიბდა. აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია თუ როგორ არის წარმოდგენილი ახალი რეფორმის ფარგლებში, ამისათვის შევეცდები, საკვანძო პუნქტები გამოვყო რის საფუძველზედაც შევძლებთ, ანალიზის გაკეთებას. ახალი კანონის (მუხლი:25) წესები გამოიყენება ფიზიკური პირების მიმართმ ფიზიკური პირებისათვის დამახასიათებელი თავისსებურებების გათვალისწინებით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ ეწინააღმდეგება ამ კანონს.[46] როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, ეს ჩანაწერი არ არსებობდა 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონში, რითაც განსხვავდება არსებითად ახალი კანონი.

აქვე უნდა ითქვას, რომ გაკოტრების უნარი ყველა სამართალსუბიექტს არ გააჩნია, არამედ მხოლოდ მათ, ვისაც გადახდისუუნარობის სამართალი პირდაპირ აღიარებს და რომელთა მიმართაც შეიძლება გამოყენებულ იქნას მოცემული კანონით გათვალისწინებული წესები. [47] გაკოტრების 1996 წლის გაკოტრებაუნარიანად მიიჩნევს ნებისმიერ ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირს. უნდა ითქვას, რომ გაკოტრების 1996 კანონით გაკოტრებაუნარიანად ითვლებოდა ყველა ის პირი, ვინც სამოქალაქო სამართლის თანახმად მიჩნეული იყო კერძო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად. ასეთად აღიარებული იყო, როგორც სამეწარმეო ისე არასამეწარმეო, როგორც

[46] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ პროექტი, მუხლი 25
[47]მიგრიაული.რ, „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი 2017, გვ 40

საქართველოს ისე სხვა ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირი.[48] 2007 წლის კანონმა ფიზიკური პირის გაკოტრებაუნარიანობა ამოიღო, სადაც მინიჭებულ იქნა შემდეგი სახის სტატუსი ფიზიკური პირისთვის, ინდივიდუალური მეწარმე. 2007 წლის კანონის თანახმად, როგორც აღვნიშნეთ, ფიზიკურ პირებზე არ ვრცელდებოდა კანონის მოქმედება, თუ ისინი არ სარგებლობდნენ ინდივიდუალური მეწარმის სტატუსით. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული გარკვეულ პრობლემას წარმოადგენს, და ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ქმნის, რომლის მეშვეობითაც ჩვეულებრივ ფიზიკურ პირებს კანონი უბიძგებდა ინდმეწარმედ გახდომას. აქვე უნდა გავაკეთოთ ფიზიკური პირის დეფინიცია ქართული სამართლის მიხედვით, ფიზიკური პირია საქართველოს მოქალაქე, უცხოელი მოქალაქე, ასევე მოქალაქეობის არმქონე პირი. გაკოტრებაუნარიანია ინდივიდუალური მეწარმე, რომელიც საქმიან ურთიერთობებში თავის უფლება-მოვალეობას ახორციელებს, როგორც ფიზიკური პირი.[49]

ახალი რეფორმის თანახმად, მუხლი:4 სადაც კვლავ არის დაბრუნებული ფიზიკური პირები. მე-4 მუხლის მე-2 ქვეპუნქტის მიხედვით კანონის მოქმედება ვრცელდება ფიზიკურ პირებზე, კერძოდ ეს გულისხმობს, რომ ფიზიკურ პირებზე გავრცელდება, იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე გვაქვს რეგულირებული შეთანხმება. რეგულირებული შეთანხმება კანონის მიხედვით განმარტებულია, „რეგულირებული შეთანხმება არის მოვალესა და კრედიტორებს შორის, ამ კანონით დადგენილი წესით, მიღწეული შეთანხმება, რომლის ფარგლებში თითოეული კრედიტორი მიიღებს მინიმუმ იმდენს, რასაც მოვალის გაკოტრებისას მიიღებდა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კრედიტორი ეთანხმება სხვაგვარ დაკმაყოფილებას.“[50] როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაკოტრებაუნარიანობის ქართული სამართლის 1996 წლის კანონი ითვალისწინებდა კერძო სამართლის ყველა სუბიექტს, იმის

[48]რ. მიგრიაული,“შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2017, გვ 40

[49]იქვე, გვ:41

[50] ახალი რეფორმის ტექსტი „გადახდისუუნარობის კანონის პროექტი“ მე-2თავი მუხლი:18 პირველი პუნქტი.

მიუხედავად, ისინი არიან თუ არა მეწარმის თვისობრიობით აღჭურვილნი. 1996 წლის კანონის მიხედვით გაკოტრებაუნარიანად არ ითვლებოდა გლეხური და ფერმერული მეურნეობები, რომლებსაც კანონი გაკოტრებაუნარიანად არ განიხილავდა, მაგრამ აღნიშნული 2007 წლის ცვლილების მიხედვით იქნა შეცვლილი, 2007 წლის მიხედვით გადახდისუუნარობის წარმოებას ექვემდებარებიან. აქ არ აქვს მნიშვნელობა აღნიშნული სუბიექტები არიან თუ არა რეგისტრირებულნი სამეწარმეო რეესტრში. ახალი რეფორმის მიხედვით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კანონის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ მე-2 თავით მოწესრიგების შემთხვევაში, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში კანონი ფიზიკურ პირს გაკოტრებაუნარიანად ცნობს მუხლი:4 მე-3 პუნქტი-ს ა) ქვეპუნქტის მიხედვით.

დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ფიზიკურ პირებზე ახალი რეფორმის კანონის განვრცობა, წარმოადგენს მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობას. უნდა ითქვას რომ კანონის ეს ასპექტი სოციალურ ეკონომიკური დატვირთვის მატარებელია, სადაც გათვალისწინებულია ინდივიდის უფლებები და მონაწილეობა აქტიურ ეკონომიკურ ცხოვრებაში, ისე რომ მას არ ქონდეს რაიმე დამატებითი სტატუსი, რაც 2007 წლის კანონში იყო ინდმეწარმის სახით ფიზიკური პირის ჩანაცვლება.

2.3. გაკოტრების მმართველის არჩევის წესი

გაკოტრების 1996 წლის კანონის მიხედვით, გაკოტრების მმართველის დანიშვნა წარმოადგენდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს. გაკოტრების მმართველის დასანიშნად სასამართლო არ აღიარებდა რაიმე სპეციალურ დადგენილებას, არამედ ნიშნავდა მას წარმოების გახსნის განჩინებით. უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს მიერ გაკოტრების მმართველად შეიძლებოდა იგივე პირი ყოფილიყო დანიშნული ვინც მანამდე ჰყავდა გაკოტრების დროებით მმართველად. სასამართლოს შეეძლო

ერთზე მეტი პირი დაენიშნა გაკოტრების მმართველად. რამდენიმე პირის ერთდროულად დანიშვნა შესაძლებელი იყო იმ შემთხვევაში თუ დიდი საწარმო საქმე იყო. უნდა ითქვას რომ 2007 წლის კანონი არ ითვალისწინებს გადახდისუუნარობის წარმოების დასაწყისშივე გაკოტრების მმართველის დანიშვნას. ასეთი მმართველი ინიშნება მხოლოდ გაკოტრების საქმის წარმოებაში. უნდა აღინიშნოს, რომ გადახდისუუნარობის წარმოება არ იწყება გაკოტრების წარმოებით, როგორც ეს გაკოტრების სამართლით არის განსაზღვრული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაკოტრების პროცესში წარმომადგენლობას და მართვას ახორციელებს გაკოტრების მმართველი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით. უნდა აღინიშნოს, ასევე ის გარემოება, რომ გაკოტრების მმართველის არჩევის შესახებ საუბრობს კანონის მუხლი:37, რომელიც შედგება 6 პუნქტისგან.

აღსანიშნავია, გადახდისუუნარობის რეფორმის კანონის პროექტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, არსებული პუნქტების რაოდენობა არის შემცირებული 4 პუნქტამდე. კანონპროექტის 101 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად მმართველი ინიშნება სასამართლოს მიერ, აღნიშნული კანონის მე-10 მუხლით დადგენილი წესით.[51] არსებული კოდექსის მიხედვით გაკოტრების მმართველის სასამართლოს განჩინებით ირჩევენ კრედიტორები სასამართლოს განჩინების გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში[52] ახალი საკანონმდებლო რეფორმის თანახმად შემოდის გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ცნება, რომელიც არ გვხვდება 1996-2007 წლის კანონის მუხლებში. აღნიშნულის მიხედვით, როგორც უკვე წინა თავში აღვნიშნეთ, გადახდისუუნარობაზე დანიშნული თანამდებობის პირები უნდა იქნენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, საქმის პრაქტიკოსები, აქედან გამომდინარე, გაკოტრების მმართველის არჩევის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი. არსებული გადახდისუუნარობის კანონის მიხედვით, გაკოტრების მმართველი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური

[51]გადახდისუუნარობის რეფორმის კანონპროექტი მუხლი:101
[52]საქართველოს კანონი, „გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების შესახებ“, https://matsne.gov.ge/ka/document/view/23572?publication=28

ისე იურიდიული პირი, იგივე წესს ვხვდებით რეფორმის მიხედვითაც მაგრამ ამ შემთხვევაში როგორც უკვე აღვნიშნეთ საქმის პრაქტიკოსი არის მთავარი ფიგურანტი რომელზედაც უნდა აეწყოს გაკოტრების მმართველის დანიშვნის წესი. არსებული კანონის მუხლი:37 მე-3 პუნქტის თანახმად გაკოტრების მმართველად დანიშნული პირი უნდა იყოს კეთილსინდისიერი და დამოუკიდებელი, აღნიშნული საკითხი უფრო განვრცობილად არის წარმოდგენილი ახალი გადახდისუუნარობის რეფორმის მიხედვით და მას ცალკე მუხლი აქვს დათმობილი გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის შესახებ, რაზედაც, უკვე გვქონდა განხილვა არსებულ თავში.

გაკოტრების მმართველი კრედიტორთა შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე და შეთანხმებისამებრ ინიშნება, რომლის ანაზღაურების წესი და პირობები წინასწარ განისაზღვრება, ასევე პასუხისმგებლობის უზრუვნელსაყოფად შესაძლებელია უზრუნველყოფა საბანკო გარანტიის ან პასუხისმგებლობის დაზღვევის გამოყენება [53] (მუხლი:37 მე-4-ქვეპუნქტი), გადახდისუუნარობის რეფორმის მიხედვით, აღნიშნულ ჩანაწერს ვერ ვნახავთ, ახალი კანონი არ ითვალისწინებს მსგავსად უფლებამოსილების ფარგლების შემოსაზღვრას. არსებული კანონიდან განსხვავებით რეფორმის ტექსტში მუხლი: 10 ითვალისწინებს გაკოტრების მმართველის არჩევის ელექტრონულ წესს, მე-10 მუხლის მე-6 ქვეპუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ სახეზე გვაქვს შეფერხება ელექტრონული წესით არჩევის დროს, ასეთ შემთხვევაში უნდა მოხდეს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ერთიან რეესტრში ანბანური თანმიმდევრობის დაცვით პრაქტიკოსის არჩევა. აღნიშნულ პროცედურებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ იცნობს არსებული კანონი, რაც უნდა ითქვას სიახლეს წარმოადგენს.

[53]საქართველოს კანონი, „გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების შესახებ“, https://matsne.gov.ge/ka/document/view/23572?publication=28

2.4. კრედიტორთა კრება

გაკოტრების წარმოების გახსნის განჩინებით, გაკოტრების სასამართლო იწვევდა კრედიტორთა პირველ კრებას, აგრეთვე განსაზღვრავდა კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი კრების ჩატარების დროსა და ადგილს.[54] ასევე უნდა ითქვას, რომ გაკოტრების გახსნის განჩინებით სასამართლოს შეიძლება მოეწვია, სამომრიგებლო კრებაც და განესაზღვრა მისი ჩატარების დრო. ასეთი კრება სასამართლოს შეეძლო წინასწარაც მოეწვია, თუკი იქნებოდა შესაძლებელი განცხადების განხილვის წარმოებაში, იმ შემთხვევაში, თუ გამოიკვეთებოდა სამომრიგებლო განწყობა. ახალი რეფორმის კანონის მუხლის-52 პირველი პუნქტის თანახმად.კრედიტორთა კრებას მის ნებისმიერ სტადიაზე ამატებს აღსრულების ეროვნული ბიურო. გაკოტრების კანონი კრედიტორთა, როგორც პირველ, ისე მოთხოვნების შესამოწმებელ კრებას მიიჩნევდა გაკოტრების ძირითად კრებად.

გადახდისუუნარობის კანონის, არსებული მდგომარეობით სამეურვეო რეჟიმს კრედიტორთა კრების მოწვევას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს მეურვე, აღსრულების ეროვნული ბიურო, ახალი რეფორმის მიხედვით აღნიშნულ ნაწილს არეგულირებს გადახდისუუნარობის რეგულარული შეთანხმების პრაქტიკოსი.

კრდიტორთა კრება გაკოტრების გადახდისუუნარობის კრედიტორთა ერთობლიობაა, რომლებიც უფლებამოსილნი არიან მიიღონ გადაწყვეტილებები კანონით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. [55] გაკოტრების კანონით კრედიტორთა კრების შემადგენლობას არ ქმნიდნენ საკუთრების, მასისა და უზრუნველყოფილი კრედიტორები. კრებაში მონაწილეობის უფლება მხოლოდ გაკოტრების კრედიტორებს ჰქონდათ. უზრუნველყოფილ კრედიტორთა მონაწილეობა დაშვებული იყო მხოლოდ სამომრიგებლო კრებაზე.

---

[54]რ.მიგრიაული, „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“გამომცემლბა „ბონა კაუზა“ , თბილისი, გვ:116

[55]რ.მიგრიაული „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი 2017წ, გვ:147

კრედიტორების 1996 წ. კანონი კრედიტორთა რამდენიმე კრებას იცნობდა, რომლებიც კანონით პირდაპირ იყვნენ ნომინირებულნი, ესენია:

- კრედიტორთა პირველი კრება;
- კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი კრება;
- სამომრიგებლო კრება;
- კრედიტორთა უკანასკნელი კრება.

უნდა აღინიშნოს რომ კრედიტორთა კრებები ფუნქციებით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. [56] გადახდისუუნარობის 2007 წლის კანონი მხოლოდ ერთი სახის კრებას აღიარებს-კრედიტორთა კრებას (მუხლი:27) ზოგ შემთხვევაში მოხსენიებულია როგორც კრედიტორთა პირველი კრების სახელითაც. აქვე უნდა ითქვას, რომ 2007 წლის კანონის მიხედვით, არის დაშვება სხვა კრების მოწვევის შესახებაც.

2007 წლის კანონის მიხედვით რიგგარეშე კრების მოწვევის უფლება აქვს მეურვეს, კრედიტორს (კრედიტორებს), რომელიც ფლობს კრედიტორთა ხმების საერთო რაოდენობის სულ მცირე 10%-ს, მოვალეს, ახალი რეფორმის მიხედვით, ამოღებულია მეურვე, რომელიც 2007 წლის კოდექსის მიხედვით უფლებამოსილი იყო კრების მოწვევის, 10% ფლობის ბარიერი ასევე შენარჩუნებულია ახალი კანონის ტექსტში. ახალი რეფორმის მიხედვით კრედიტორთა კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება კრედიტორთა 50% -ზე მეტი, არსებული კანონის მუხლი:27 მე-4 პუნქტის თანახმად, „კრედიტორთა კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია კრედიტორთა ხმების საერთო რაოდენობის სულ მცირე 51%“. [57] აღნიშნულიდან გამომდინარე, ახალი რეფორმის მიხედვით ცვლილება შეეხო კრედიტორთა კრების რაოდენობის უფლებამოსილების საკითხსაც. რაც

[56]რ.მიგრიაული „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“ გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2019 წელი, გვ:148,

[57]საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხლი:27 მე-4პუნქტი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/23572?publication=28

შეეხება გადაწყვეტილების მიღების საკითხს ახალი კანონის და არსებულის შედარებისას ცვლილება არ შეინიშნება, აღნიშნული მოთხოვნები და პრინციპები იდენტურია.

გაკოტრების 1996 წლის კანონით კრებაში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ მხოლოდ შემოწმებულ და აღიარებულ მოთხოვნებს (მუხლი22.5), ზოგ შემთხვევაში დაშვებული იყო სადაო მოთხოვნების კრედიტორის მონაწილეობა კრებაში. გადახდისუუნარობის კანონი აღიარებს მხოლოდ კრებაზე დასწრების უფლებას, რომელიც გააჩნია ყველა უზრუნველყოფილ და არაუზრუნველყოფილ კრედიტორს, თუკი ისინი კანონით დადგენილ ვადაში წარადგენენ თავიანთ მოთხოვნებს. ახალი რეფორმის კანონის 52-მუხლის მე-12 „ყველა უზრუნველყოფილ და არაუზრუნველყოფილი კრედიტორი, რომლებიც კანონით დადგენილ ვადაში ელექტრონული სისტემის მეშვეობით, წარადგენენ თავიანთ მოთხოვნებს მოვალის მიმართ, უფლებამოსილია დაესწროს კრედიტორთა კრებას. კრედიტორთა კრებაზე დასწრების უფლება აქვს მოვალესაც. კრედიტორთა კრებაზე დამსწრე კრედიტორი კრედიტორებსა და მოვალეს უფლება აქვთ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით გამოთქვან შენიშვნები და დასვან შეკითხვები“ [58] აღნიშნული საკითხი ახალსა და არსებულ რედაქციას შორის იდენტურია, განსხვავება გვაქვს მუხლობრივ და პუნქტობრივ გადანაცვლებაში.

2.5. რეგულირებული შეთანხმების ინსტიტუტი

ახალი კანონის მიხედვით კრედიტორებსა და მოვალეებს შორის ურთიერთობის დარეგულირების მნიშვნელოვანი წესი არის შემოტანილი, რეგულირებული შეთანხმების სახით. ახალი კანონის მიხედვით სახეზე გვაქვს ტერმინთა სახეცვლილება და მუხლობრივ დონეზე შეცვლილია შინაარსობრივი

[58]გადახდისუუნარობის კანონი (რეფორმის ტექსტი) მუხლი:52, მე-12 პუნქტი

ნაწილიც. საქართველოს გადახდისუუნარობის კანონის მუხლი:21-ე მუხლის შინაარსში ვკითხულობთ, რომ გადახდისუუნარობის საქმეზე ინიშნება გადახდისუუნარობის მეურვე, ხოლო ახალი კანონის თანახმად, მეურვის ნაცვლად შემოტანილია ახალი ტერმინი და ფუნქციით თითქმის მსგავსი, რეგულირებული ზედამხედველის ინსტიტუტი. აქ ჩვენ პირველ რიგში სახეზე გვაქვს ტერმინთა განსხვავებაზე, ერთ შემთხვევაში, მეურვე, ხოლო მეორე შემთხვევაში რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველი, ფუნქციური დატვირთვა, აღნიშნულ პოზიციებს ძალიან მსგავსი და ახლოს მდგომი აქვთ. რეგულირებული შეთანხმების მიზანია, კანონით მოვალეებსა და კრედიტორებს შორის მიღწეული შეთანხმება, სადაც თითოეული კრედიტორი იმდენს მიიღებს, რამდენიც განსაზღვრული იყო მოვალის გაკოტრების შემთხვევაში.

გადახდისუუნარობის რეფორმის ახალი კანონის თანახმად რეგულარული შეთანხმება ვრცელდება ფიზიკურ პირებზე, აღნიშნულის შესახებ საუბარი არ გვხვდება არსებულ კანონმდებლობაში. რაც განასხვავებს, მას და ქმნის ბიზნესისთვის და ფიზიკური პირებისთვის ახალ სამართლებრივ მიდგომებს და რეგულირების შესაძლებლობებს.

მის მოვალეობაში შედის მოვალის აქტივებზე ინფორმაციის შეგროვება, მოვალის საქმიანობის ანგარიში, ვალდებულებებზე გარანტიებზე და თავდებობაზე. კანონში გაწერილია, რომ მოვალემ რეგულირებული შეთანხმების დადებითი პასუხის მიღებიდან 5 დღის ვადაში უნდა წარუდგინოს რეგულირებული ზედამხედველის ანგარიში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ არსებული კოდექსისგან განსხვავებით უფრო მოცულობითად არის წარმოდგენილი აღნიშნული რეგულირების შესახებ. რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველის ანგარიშის მიზნებისათვის კანდიდატს შეუძლია მიიღოს საქმიანობის ანგარიში 22 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად განსაზღვრულ ვადაზე. მაგრამ არა უადრეს 2 თვის მდგომარეობისა.

2.6.რეაბილიტაციის რეჟიმის დაწყება

რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცება:

რეაბილიტაციის რეჟიმის მიზანია რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცება. აღნიშნული თავი მნიშვნელოვანია იმის გასააზრებლად რათა მოვახდინოთ, ერთის მხრივ, შედარება ძველსა და ახალ ნორმებს შორის, და განვსაზღვროთ ის უპირატესობები რასაც გვთავაზობს ახალი გადახდისუუნარობის რეფორმა, აღნიშნული ქვეთავი შეეხება რეაბილიტაციის საკითხს, არსებული კანონმდებლობის თანახმად მუხლი:43„რეაბილიტაციის გეგმის მომზადების ვადა აითვლება მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად სასამართლოს მიერ რეაბილიტაციის შესახებ გამოტანილი განჩინების გამოქვეყნებიდან.“ [59] ახალი რეფორმის მიხედვით, საქართველოს აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშის მიღებიდან 5 დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს ზეპირი მოსმენის გარეშე, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ უფლებამოსილია დანიშნოს ზეპირი მოსმენაც.

პროცედურების წარმართვა:

რაც შეეხება რეაბილიტაციის მმართველს, არსებული რედაქციით რეაბილიტაციის პროცესს წარმართავს რეაბილიტაციის მმართველი, რომელსაც კრედიტორები ნიშნავენ, რეაბილიტაციის მართველი შესაძლებელია იყოს, როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირი, რეაბილიტაციის მმართველი საწარმო დირექტორის უფლებამოსილებათა წრეს განსაზღვრავს, აღნიშნული საკითხი ახალი რეფორმის მიხედვით რეგულირებულია შემდეგნაირად: სასამართლოს შესაბამის მმართველს რომელმაც უნდა დაამტკიცოს, რომ შესაბამისი საწარმო ორგანიზაციისათვის იქნება კეთილსინდისიერი და განახორციელებს შესაბამის

[59]საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის შესახებ
https://matsne.gov.ge/ka/document/view/23572?publication=28

ქმედით ღონისძიებებს. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სასამართლო მოვალეს ტოვებს მართვაში, იმ შემთხვევაში, თუ ამას გონივრულად და დასაბუთებულად მიიჩნევს, სასამართლო, ამ შემთხვევაში, გამოდის საქმის ობიექტური ჭეშმარიტებიდან, და ცდილობს რეაბილიტაციის პროცესი გახადოს ეფექტური და მოიყვანოს კანონთან შესაბამისობაში. ახალი გადახდისუუნარობის რეფორმის მიხედვით, რეაბილიტაციის საკითხი მნიშვნელოვნად ესადაგება და პასუხობს ბიზნესის მოთხოვნებს და არსებულ გამოწვევებს, კერძო საკუთრების ინტერესების დაცვას და ქონების ღირებულების შენარჩუნებისკენ გადადგმულ ქმედით ნაბიჯებს, რასაც ნაკლები სიცხადით ითვალისწინებს არსებული გადახდისუუნარობის კანონი. რეაბილიტაციის გეგმის ერთ-ერთ მთავარ საკითხად მოვალის გადარჩენის საკითხია, აღნიშნული საკითხი გულისხმობს კრედიტორთა მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებას. 71.2 ბ) „კრედიტორების ერთობლიობისთვის, როგორც ერთად აღებული მთლიანობისთვის, უკეთესი შედეგის მიღწევას, ვიდრე ეს შესაძლებელი იქნებოდა მოვალის იმთავითვე გაკოტრებისას, იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული კრედიტორი მიიღებს მინიმუმ იმდენს, რასაც მოვალის იმთავითვე გაკოტრებისას მიიღებდა. ეს შეიძლება, მათ შორის, მოიცავდეს მოვალის, როგორც მოქმედი ბიზნესის გადარჩენას, ასევე, მოვალის მთლიანი/ არსებითად მთლიანი ბიზნესის/ქონების გასხვისებასან მართვას კრედიტორების გრძელვადიანი დაკმაყოფილების მიზნით.“[60] აღნიშნული პუნქტი ერთის მხრივ ორიენტირებულია მოვალის მდგომარეობის შენარჩუნებაზე და მიმართულია კრედიტორთა სრული დაკმაყოფილებამდე, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ ახალი რეფორმის ეს ნაწილი ითვალისწინებს ბიზნესის ხელშეწყობის საკითხს. პრეფერენციული ვალები ახალი რეფორმის მიხედვით სარგებლობენ თანაბარი რიგითობით, აღნიშნულიდან გამომდინარე ამ ვალების გადახდა უნდა მოხდეს სრულად, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ მოვალის აქტივები არ

[60]საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის შესახებ“ პროექტი მუხლი:71.2.ბ

იძლევა შესაბამისი ვალის დაფარვის საშუალებას პრეფერენციული ვალების შემცირება თანაბარი პროპორციით ხდება.

რეაბილიტაციის რეჟიმი:

72 მუხლი შემდეგნაირად აწესრიგებს რეაბილიტაციის მმართველობის რეჟიმს, როგორც უკვე აღვნიშნეთ ქონებასა და ბიზნესს მოვალე მართავს რეაბილიტაციის ზედამხედველი მეთვალყურეობის ქვეშ ან მმართველის ზედამხედველობით. აღნიშნული მმართველობის საკითხის დროს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სასამართლოს, რომელიც მოქმედებს კანონინთ დადგენილი წესით. რეაბილიტაციის მმართველის უფლებამოსილების განხორციელებისთანავე ორგანიზაციის დირექტორებს უჩერდებათ უფლებამოსილება. საწარმო ფუნქციონირების და მართვის საკითხების განხორციელებაში. რეაბილიტაციის მართველი ახალი გადახდისუუნარობის რეფორმის მიხედვით შესაბამის უფლებამოსილებას ახორციელებს კანონით დადგენილ ფარგლებში. მოვალის დირექტორი, დასაქმებულები და ოფიციალური პირები ვალდებულნი არიან დაეხმარონ და ითანამშრომლონ რეაბილიტაციის მმართველთან. [61] მოვალის მმართველი თავის საქმიანობაში იმყოება სრულად თავისუფალი, მას შეუძლია განაგრძოს არსებული ბიზნესი, როგორც თვითონ თვლის საჭიროდ და მართებულად, რაც ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას.

რეფორმის კანონის 81 მუხლის ანალიზი:

რაც შეეხება 81-მუხლს, აქ საუბარია რეაბილიტაციის გეგმის მიხედვით ხარჯების დაკმაყოფილების შესახებ, რაც რეაბილიტაციას უნდა მოხმარდეს, აღნიშნული წარმოადგენს მნიშვნელოვან დამატებას, ახალ საკანონმდებლო ვერსიაში. უნდა აღინიშნოს, ასევე, ახალი რეფორმის ფარგლებში მნიშვნელოვანი პუნქტები აქვს რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებას, რაც არსებული რედაქციისგან მნიშვნელოვნად სახეცვლილი ვარიანტია. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ

[61]საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის შესახებ“ პროექტი მუხლი:77

სასამართლო დასაშვებად არ მიიჩნევს პრეფერენციული ვალების დაკმაყოფილებას, რომლიც არ წარმოადგენს ვალის გადახდას სხვა არაპრეფერენციულ ვალებზე პრიორიტეტულად, ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია შესაბამისი კრედიტორის თანხმობა. ასევე, იმ შემთხვევაში, თუ ირღვევა პროპორციულობის პრინციპი პრეფერენციული კრედიტორების კლასის შიგნით, ასევე, არაუზრუნველყოფილი კრედიტორების კლასის შიგნით.

91-მუხლი რეფერენციის მმართველის ხელმძღვანელობით საქმიანობის გასაჩივრება:

აქვე უნდა აღვნიშნოთ 91.1ა) მუხლი დაუშვებლად თვლის სადაც „გათვალისწინებულია პრეფერენციული ვალების ისეთი დაკმაყოფილება, რომელიც არ წარმოადგენს ვალის გადახდას სხვა არაპრეფერენციულ ვალებზე პრიორიტეტულად, გარდა შესაბამისი კრედიტორის თანხმობისა;“ აღნიშნული საკითხი გულიხმობს თანაბრობის პრინციპის დაცვას, სადაც გათვალისწინებულია ყველა კრედიტორის დაკმაყოფილების საკითხი და ეხმაურება კანონპროექტის მიზანს. აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ ახალი კანონპროექტის 91 მუხლის დ) ქვეპუნქტის თანახმად, თუ „უზრუნველყოფილი კრედიტორი მიიღებს უფრო ნაკლებს, ვიდრე უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ქონების რეალიზაციით მიიღებდა, გარდა აღნიშნული კრედიტორის თანხმობისა“ ასეთ შემთხვევაში დაუშვებელია დარღვეული იქნას თანაბრობის პრინციპი და რიგითობა. მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა ახალი რედაქციის მიხედვით რეაბილიტაციის რეჟიმის დასრულების მუხლში, ამ შემთხვევაში აღნიშნულმა მუხლმა განიცადა შეკვეცა, არსებული რეადაქციის მიხედვით სახეზე გვაქვს 6 პუნქტი ხოლო ახალი რეფორმის თანახმად ამოღებულია 4 პუნქტი.

არსებული რედაქციის მუხლი 52.3 კრედიტორებს რომლებიც კრედიტორთა ხმების 10 პროცენტს ფლობენ ენიჭებათ სასამართლოსთვის დასაბუთებული მოთხოვნით მიმართონ განცხადებით რეაბილიტაციის გეგმის განუხორციელებლობის შესახებ, აღნიშნული შინაარსის ახალი რედაქციიდან

ამოღება, ვფიქრობთ რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა, რაც კრედიტორებს არ მისცემს პასუხისმგებლობიდან თავის არიდების საშუალებას. ახალი რედაქციის მიხედვით „რეაბილიტაციის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია 6 თვეში ერთხელ გამოაქვეყნოს რეაბილიტაციის გეგმის შესრულების ანგარიში.“[62] აღნიშნული დამატება მოცემულ მუხლში და დანარჩენი ქვეპუნქტების ამოღება, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს რეაბილიტაციის მნიშვნელობას და ხარისხს და ასევე უნდა ითქვას, აღნიშნული ფაქტორი დადებითად მოქმედებს ბიზნეს საქმიანობაზე. რაც შეეხება რეაბილიტაციის კონვერსიას, იმ შემთხვევაში, თუ რეაბილიტაციის გეგმა არ იქნა დამტკიცებული აღნიშნული რეჟიმი ტრანსფორმირდება გაკოტრების რეჟიმში ახალი კანონპროექტის მიხედვით, სასამართლოს მიერ ხდება გაკოტრების მმართველის დანიშვნა. ასეთ შემთხვევაში რეაბილიტაციის მმართველს უფლებამოსილება ენიჭება სასამართლოს მიმართოს, თუ შესაბამისად მიიჩნევს, რომ არსებული მდგომარეობით გონივრული ალბათობა იმისა, მიღწეულ იქნას რეაბილიტაცია, არ არსებობს.

მოვალის მიმართ გაკოტრების მოთხოვნის დაწყების უფლება წარმოეშობათ კრედიტორებს თუ მოვალე არღვევს რეაბილიტაციის გეგმას. გაკოტრების წარმოებაში მმართველი არ შემოიფარგლება მხოლოდ რომელიმე კონკრეტული მონაწილის ინტერესების დაცვით, არამედ იგი ახორციელებს წარმოების ყველა მონაწილის ინტერესებს. [63] თანამდებობრივი უფლებამოსილების თეორია სამართალზრუნვის ერთ-ერთ ორგანოდ მიიჩნევს გაკოტრების მმართველს. მასზე დაკისრებულ კანონით განსაზღვრულ თანამდებობრივ მდგომარეობას იყენებს შესაბამის საქმეში. გაკოტრების მმართველი საჯარო ფუნქციებითაა დატვირთული. წარმოდგენილ თეორიებს შორის თანამდებობრივ უფლებამოსილებების თეორის მიჩნეულია ყველაზე სწორ თეორიად, მის მხარდასაჭერად შეიძლება აღინიშნოს ისიც, რომ გაკოტრების მმართველის ამოცანები მნიშვნელოვნად სცილდება

[62]საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის შესახებ“ პროექტი მუხლი:97

[63]რ.მიგრიაული „შესავალი გაკოტრების და გადახდისუუნარობის სამართალში“ გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2017 წ, გვ:86,

კრედიტორთა ინტერესების ფარგლებს. არსებული თეორიების გარდა არსებობს ორგანული თეორია, რომელიც განიხილავს გაკოტრების მმართველს როგორც გაკოტრების მასის ორგანოს. ახალი რეფორმის მიხედვით გაკოტრების რეჟიმი განჩინების გაკოტრებიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა უნდა გამოაქვეყნოს შესაბამისი ინფორმაცია მმართველის შესახებ. ახალი რეფორმის მიხედვით „გაკოტრების მმართველი უფლებამოსილია გადახდისუუნარობის მასის რეალიზაცია განახორციელოს ქონების რეალიზაციის კანონით დადგენილი ნებისმიერი ფორმით, მოქმედი ბიზნესის სახით, გადახდისუუნარობის მასის ერთიანი კომპლექსის სახით ან ნაწილ-ნაწილ,“[64] აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს გაკოტრების მმართველის შესახებ აღნიშნული მუხლის გაანალიზებისას.

[64]საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის შესახებ“ პროექტი მუხლი:მუხლი:103.1

დასკვნა:

ნაშრომზე მუშაობისას, გამოიკვეთა მთელი რიგი საკითხები, რაც პრობლემურ და განსხვავებულ ასპექტებს ქმნიდნენ გადახდისუუნარობის კანონში, რამაც გამოიწვია რეფორმის ახალი ტალღა. ნაშრომში განხილულ იქნა 1996 წლის კანონი 2007 წლის კანონთან მიმართებაში, უპირატესობები და ნაკლოვანებების ასპექტში, ასევე შედარება გაკეთდა რეფორმის შესაბამის თავებსა და მუხლებთან, რომელთა ანალიზის შედეგად გამომაქვს შემდეგი სახის დასკვნები:

- უპირველეს ყოვლისა ვალაუვალობის ახალი კანონის არსობრივი ნაწილი ეხმიანება, კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების წესს და მნიშვნელობას, რაც გარკვეულწილად, შინაარსობრივ ნაწილში, მცირედით განასხვავებს 1996-2007 წლის კანონთან, სადაც საუბარია მოვალისა და კრედიტორების ინტერესების თანაბარზომიერ დაცვაზე, აღნიშნული სიტყვათგანსხვავება იძლევა დამოკიდებულებებს და მიდგომებს, რომელიც განასხვავებს ერთმანეთისგან.
- მნიშვნელოვან ასპექტად უნდა განვიხილოთ ფიზიკური პირების შესახებ ვალაუვალობის საქმის წარმოების კანონის მოქმედების ფარგლებში მოხსენიება. როგორც ანალიზისას დადგინდა, 1996 წლის კანონი ფიზიკურ პირზე ვრცელდებოდა კანონის მოქმედების არეალი, რაც მოწესრიგებული იყო მუხლი: 2 მიხედვით, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებული ჩანაწერი დაექვემდებარა ცვლილებას 2007 წლის მდგომარეობით, სადაც ჩაიწერა, რომ კანონის მოქმედება ფიზიკურ პირებზე არ გავრცელდებოდა გარდა ინდივიდუალური მეწარმისა. (მუხლი:2 მე-2-პუნქტი ა. ქვეპუნქტი) 2007 წლის კანონმა ერთგვარი გამორიცხვა მოახდინა ფიზიკური პირების და მათი ინდმეწარმეებით ჩანაცვლება, აღნიშნული გადაწყვეტილება, შეცვლილ იქნა ახალი რეფორმის გადახდისუუნარობის კანონის ტექსტში. პირველი ცვლილება მუხლობრივ გადაადგილებას შეეხო, რეფორმის მიხედვით, კანონის გავრცელების სფერო მოწესრიგდა მუხლი:4 მიხედვით. აღნიშნული მუხლის თანახმად, საგულისხმოა ის გარემოება, რომ კანონის

მოქმედება ვრცელდება ფიზიკურ პირებზე მხოლოდ მე-2 თავის მიხედვით, რაც გულისხმობს რეგულირებულ შეთანხმებას, აღნიშნულთან დაკავშირებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფიზიკური პირებზე კანონის მოქმედების გავრცელების არე 2007 წლის კანონისგან განსხვავებით მნიშვნელოვნად შეცვლილია, მაგრამ არ გულისხმობს მთლიანი კანონის მოქმედების განვრცობას, რაც შინაარსობრივი მდგომარეობით ახსნადი და გასაგებია.

- ნაშრომზე მუშაობისას შესწავლილი იქნა გაკოტრების მმართველის არჩევის წესი, შედარება მოხდა 1996-2007 წლის კანონთან, (მუხლი:37) ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილია მცირედი ცვლილებები.
- ნაშრომზე მუშაობისას ასევე შედარებულ იქნა 1996-2007 წლების კანონის მუხლები კრედიტორთა კრების შესახებ. (მუხლი:27) აღნიშნილიდან გამომდინარე შევეცადე გამომეტანა დასკვნები ახალი რეფორმის გადახდისუუნარობის შესახებ კანონის 52-ე მუხლთან მიმართებაში.
- ნაშრომზე მუშაობისას ასევე შევისწავლე და ანალიზი გავუკეთე რეგულირებულ შეთანხმების ახლებურ გააზრებას, უნდა აღინიშნოს, რომ ახალი რეფორმის მიხედვით, რეგულირებულ შეთანხმება მოცემულია ცალკე თავის სახით, რასაც ადგილი არ ქონია 1996-2007 წლის კანონის ტექსტსი, არნიშნული საკითხები მართალია ასახულია სხვადასხვა მუხლის მიხედვით, მაგრამ, ცალკე თავად მისი გამოყოფა, მხოლოდ აღნიშნული რეფორმის ფარგლებში განხორციელდა.
- ნაშრომზე მუშაობისას ასევე შესწავლილ იქნა და გაანალიზებული, რეაბილიტაციის რეჟიმი და მისი დაწყების წინაპირობები, ვიხელმძღვანელე რა 1996-2007 წლების კანონმდებლობის თანახმად, რომლის შედარებითი ანალიზი განვახორციელე ახალი რეფორმის ტექსტთან.
- აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხს, არსებული თემით დაინტერესებული პირებისთვის.

ბიბლიოგრაფია:

1. მიგრიაული.რ, შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში, თბილისი:2017
2. შნიტგერი.ჰ, მიგრიაული,რ,გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი, თბ:2011
3. მიგრიაული, როინ. შ.პ.ს-ის გაკოტრების სამართლებრივი ასპექტები: შედარებითი ანალიზი ინზოლვენცია გერმანული სამართლიდან) ბონა კაუზა, 2004
4. საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქამის წარმოების შესახებ, https://matsne.gov.ge/ka/document/view/23572?publication=28
5. საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის შესახებ“ პროექტი
6. ანალიზი გაკოტრების სამართლებრივ საკითხებზე: პროექტი გაკოტრების კანონის მოქმედების არეალისა და ეფექტურობის განსაზღვრა/ კონსტიტუციის 42-ე მუხლი. [თბ.], 2004.
7. UNCITRAL Model Law on Recognition and Enforcement of Insolvency-Related Judgments,http://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/Interim_MLIJ.pdf
8. Kevin M. Lewis, Bankruptcy Basics: A Primer,2018 https://fas.org/sgp/crs/misc/R45137.pdf
9. Elizabeth K. Somers „The Model International Insolvency Cooperation Act: An International Proposal for Domestic Legislation“,2011.https://digitalcommons.wcl.american.edu/cgi/viewcontent.cgi?referer=&httpsredir=1&article=1571&context=auilr
10. Reinhard Bork “Principles of Cross-Border insolvency Law-and their Value for Judges and Legislators”[18.07. 2016] https://www.law.ox.ac.uk/research-subject-groups/commercial-law-centre/blog/2016/07/principles-cross-border-insolvency-law-%E2%80%93